



# შ ი ნ ა ა რ ს ი

## ჟურნალ „ჯეჯილისა“

I იხარე შეილო! სურათი.. . . . .	482
II კურდღლების გამდელი . . . . .	483
III მკონარა, ზღაპრული—გ. ქუნიშვილისა. . . . .	484
IV მოჯადოებული კოშკი, ზღაპარი—თარგმანი ვ. სასაშვილისა . . . . .	493
V მთვარე არა ყდფილა! (ფრანგულიდან) ბ. ავალი-შვილისა. . . . .	502
VI სარდინკის კოლოფი (გადმოკეთებული) იტა ნაკა-შაძისაგან . . . . .	511
VII წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, რებუსი . . . . .	515
<hr/>	
VIII შემოდგომის ღამე, ლექსი ტ. ტაბაძესი . . . . .	516
IX ბიძიას ნაამბობი. ბავშვების ცხოვრებიდან (შემდეგი) ალ. ნათაძესი . . . . .	517
X მაიმუნი — ალექსი ჭიჭინაძისა . . . . .	525
XI დავით კოპერფილდი ჩარლს დიკენსის მოთხრობა. (გაგრძელება) თარგმანი ელ. კარბუჭაშვილისა . . . . .	536

ჯეჯილის 1912 წ. ხელის მომწერლებს, ვისაც სრულათა აქვს ჟურნალის ფასი გადახდილი, გაეგზავნებათ საჩუქრათ

დასურათებული ზღაპარი

# ლ მ მ - კ ა ს ი

გორგი წერეთლისა.



# საქართველო ნახატებიანი ქურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. დ.

სექტემბერი, 1912

◆ წელიწადი მეოცდასამე ◆

თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი „ზრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1912



## კურდღლების გამდელი.



სან და სან კატები ძალიან კულ-  
კეთილობას იჩენენ.

ერთ ვაჭარს, რომელიც ცხოველებს ჭეიდდა, მოჭ-  
კვარეს კურდღლის ბაჭიები უდებოთ.

ვიღაცას მოუვიდა ფიქრათ მიეცათ კატისთვის  
მოსაულებლათ კურდღლის ბაჭიები. კატამ დაუწყო  
ბაჭიებს აღზრდა: კვებავდა, ძუძუს აწოვებდა ხოლმე,  
არავის ხელს არ ახლებინებდა და როცა ვაჭარმა  
კურდღლები ფანჯარაში გასასყიდათ გამოაღაგა, კა-  
ტამ უკანვე გადმოათრია ისინი. როდესაც კურდღლე-  
ბი გაჭეიდეს—კატა ძალიან დადარდიანდა.

საკვირველია რომ ამის შემდეგ ეს კატა შემწვარ  
კურდღლის ხორცს არ ეკარებოდა. როდესაც კი მის-  
ცემდენ კურდღლის ხორცს—ის საცოდავით დაიწეებდა  
ხოლმე კნავილს.



# მ ს ო ნ ა რ ა.

(ზღაპრული),



I.

ყო ერთი კაცი,  
ერთთავად ზარმაცი  
მთლად აუციანი  
და თავ-მწერებიანი.  
თუმც ღარიბი იყო,  
უქონებ-დოვლათო;  
მაგრამ ამისათვის  
არა სწუნდა დათო.

ამ ჩვენს მუქთახორას,  
ზანტს და მუცელ-ლორას,  
თუმც უეპარდა ძღომა,  
მაგრამ ვით ღვთის წერომა,  
სძაგდა გარჯა, შრომა.

იქნებ მკითხოთ: ეგებ  
არ შესწევდა ღონე,  
ან ეძორცხვებოდა,  
იყო თავ-მომწონე?

გეფიცებით, არა —  
თქვენმა შვება ღხენამ;

გაძიქვავდეს თუ რომ  
 ტუუილი სთქვას ენამ.  
 ღონეც ჭქონდა, ჯანიც,  
 სიგრძეცა და განიც,  
 მაგრამ მათხოვრობას  
 იყო რა ჩვეული,  
 დაჭკარგოდა მზე-ბნელს  
 შრომის სიუვარული.  
 დილა აღრიანათ  
 დაივლიდა სოფელს,  
 ზოგსა სთხოვდა  
 სასძელს,  
 ზოგს ჰურს,  
 ძველ ტანთ-საცმელს,  
 და ასე იოლათ  
 ლევდა წუთი სოფელს.

## II.

დრო მიდიოდა,  
 წელი წელს სცვლიდა;  
 სულ ახალ-ახალ  
 ცხოვრებას შლიდა.  
 მხოლოდ ზარმაცნი  
 არ იცვლებოდა,  
 და ისევ ისე  
 გლახათ რჩებოდა.  
 თმა აბურბეკნილი  
 იჩიებოდა,

სიბინძურისგან  
 ლაძის ღაბობადა,  
 მაგრამ შრომას არ  
 უბრუნებოდა.

ამის მნახველმა  
 მთელმა სოფელმა,  
 იგრძნო შეცდომა.  
 აიღო ხელი  
 დაჭკო, გაჭკიცსა  
 მისი სახელი  
 და აღარ მისცა  
 საზრდო, საჭმელი.

მეტის მეტათ გაუჭირდა  
 საქმე ამ ჩვენს მუქთა სოფლას;  
 მაგრამ შრომა და ოფლის ღვრა  
 არ სჩვევია მუცელ-ღორას.  
 მას რაღა ქნას, ვის მიჭმართოს,  
 ვისა სთხოვოს ლუკმა ჰური;  
 უვალა ეტევის: იშრომეო,  
 არ გაკლია თვალი, უური.

იფიქრა და გადასწვეიტა  
 კვლავ ცხოვრება უზრუნველი;  
 გაეყარა სირცხვილ-ნამუსს  
 და ქურდობას მიჭყო ხელი.

რა გაიგეს ეს ამბავი,  
 შეიბუღეს, შეიზიზღეს;

ამხელდენ და დასცინოდენ  
 უბან-უბან ცისძარე დღეს.

— ეჭ, სთქვა ერთხელს არმაც დათომ—  
 აქ ცხოვრება აღარ ღირსო,  
 წავალ ისევ ღმერთს შევჩივლებ  
 ჩემს უოფას, ჩემს გასაჭირსო.

## III.

ერთ მშვენიერ დღეს  
 ადრიან დილით,  
 როს მზე დიადი  
 სხივთა სიცილით  
 ამოიძარტა,  
 ხეეს ამოშორდა;  
 ჩვენი ძლოცველი,  
 ვით უცოდველი,  
 ცოდვილთა სოფელს  
 წმინდათ განშორდა.

მინდვრად გასულმა  
 ნახა ადგილი,  
 სად ვერ მიაგნებს  
 ადამის შვილი.  
 მიმოიხედა...  
 არაუნ სჩანდენ,  
 მავრამ მოსტეუვდა...  
 თურმე ზვერაგდენ



სოფლის ბიჭები,  
 გამოზარულნი,  
 იქვე ერთ გორას  
 ამოფარულნი.

რა დაიმშვიდა  
 მღელვარე გული,  
 მუსლზე დაეცა  
 ვით წმინდა სული,  
 ორივე ხელები  
 მიაპურო ცასა  
 და შეჭლადად  
 ასე უფალსა:

— ჭოი ღმერთო! გადმოხედე  
 გაჭირვებულ—საწყაღსაო;  
 ნუ გასწირავ ერთგულ მონას,  
 სულით ხორციით მართაღსაო.  
 შეისძინე ლოცვა ჩემი  
 და ნუ მიძცემ წევვასაო;  
 გაძიკითხე, მოძეც სარჩო  
 დამხსენ წანწალ-თრევასაო.

— ჭა, ჭა, ჭა, ჭა, ჭა!  
 ესმა ხარხარი,  
 თავსა დაბტედა  
 შიშისა ზარი.  
 გაოცდა, გაცბა,  
 დაეცა ელდა!

თმა აბურძგენილმა  
 მიმოიხედა,  
 და დაინახა:  
 ბიჭებს,  
 ვით ჭინკებს  
 დაელოთ ხახა,  
 და იცინოდენ  
 მის საქციელზე,  
 ჩასაფრებულნი  
 „სამ გორის უელზე“. 1).

შერცხვა, გაწითლდა  
 მსახური ღვთისა  
 და გადასწუვიტა  
 სიტუვა ლოცვისა,  
 განეპეორა  
 შორს, სადმე მთაზე,  
 რომ არ სძენოდა  
 ხმა ქვეყანაზე.

იმედოვნებდა,  
 იმ მაღლობიდან  
 ცაბდე ახიდულ  
 მთის მწვერვალიდან  
 ღმერთსაც ადგილად  
 გავაგონებო;  
 ტუის ნადირთ თავსა  
 მოვაწონებო.

1) სახელია ერთი მთისა, რომელიც  
 კახეთის მხარესაა.



სთქვა თუ არა ეს  
 გაჭხედა ძთის წვერს  
 სიბრზით სავსემ ამოიგმინა;  
 ლანძღვის ბუტბუტით  
 გაუდგა გზასა.  
 და ბიჭებმა კი,  
 დასცეს კიუნა.

## IV

მიდის ზარმაცი  
 თავი ჩადუნული  
 შავის ფიქრებით  
 გარემოცული.  
 ამ დროს შემოხვდა  
 მსუნაგი მკელი  
 და ჭკითხა: — კაცო!  
 სად მიდისარო,  
 ან მაგრე რაზე,  
 მოწეენილხარო?  
 — არ იცი განა?!  
 — არა?  
 — ღმერთთანა!  
 — თუ აგრე არის  
 ერთი შეპიტყე:  
 რად არ ვსუქდები,  
 რისთვისა ვარ მჭლე?  
 ჩემს სამფლობელოს  
 შეადგენს ეს ტყე,

უოველ ცხოველის  
 სორცს ვჭამ მუდამ დღე,  
 მაგრამ არა  
 ემატა ჩემს ძვლებს...  
 შეგვიტყე ამის  
 მიზეზი, ძმავე, ძვლებს.

დაეთანხმა, კხას გაუდგა,  
 მიდის ოფლში იწურება;  
 ძალზე სვენების, მიქაქანებს,  
 უკან აღარ იეურება.

დაიქანცა,  
 დაიღალა,  
 მთლათ წაერთო  
 მუხლში ძალა.  
 მზემ აუწვა  
 თავის ქალა,  
 ჰანანებამ შეაწუსა  
 და წუთიერ საგრილებლად  
 მინდვრათ ჰპოვა დიდი მუსა...  
 მანაც ჰკითხა:  
 — მიხვალ სადო?  
 — უპასუსა:  
 ღმერთთან ცადო.

— თუ რომ მართალს მეუბნები-  
 მიუაგ ერთი სიკეთეო,  
 ცალი გვერდი მთლად გამიხმა,

ვკვდები, ჭკნება სიცოცხლეო;  
 რა ბუნების ძალა გინდა  
 თავს არ გადაძიარაო,  
 მაგრამ მათ ვერა მავნეს რა  
 სხვამ კი დაძიარაო.  
 რა სენია, რა მიზეზი,  
 გამიგევი ღმერთთანაო;  
 როს დაბრუნდე, მინახულე  
 ბინა გქონდეს ჩემთანაო!

— ბატონი ხარ!

მშვიდობითა!..

გამოვივლი

ამაჲ გზითა.

2. ქუჩაშვილი.

(დასასრული იქნება).



## მოჯადოებელი კომპი

(ზღაპარი).



ველ დროში ცხოვრობდა თავის დიდუბულ კომპში ერთი მდიდარი თავადი. სიძლიდრე იმისი უთვალავი იყო; დიდძალი ოქრო-ვერცხლი ელავა სალაროებში; მთელი კომპი სავსე იყო მსლებლებით და კარის კაცებით, ერთი სიტყვით ეს კომპი ჰატარა ქალაქს წარმოადგენდა, მაგრამ თავადი საშინელი ბოროტი და ქუნწი კაცი იყო.

ერთხელ კომპში უცხო მკვარე შევიდა, — სთხოვა ბინა მიეცათ იმ ღამეს და ჰური ეჭმევიათ. მაგრამ რადგან თავადი ამ დღეს სანადიროთ ემზადებოდა კარის კაცებს ებძანა გაეგდოთ მკვარე.

— მოიფიქრეთ რასაც ჩადისართ, ბატონო, — უთხრა უცხო მკვარემა, — ნუ გძულთ, ზიხლით ნუ უეუტებთ უმხო შესედულობის და ჰატარა კაცს. მეც შემიძლიან რამეში დაგეხმაროთ.

ამ სიტყვებმა საშინლათ აღაშფოთა თავადი და უბრძანა მსახურებს ძაღლები მიესიათ ამ მკვარისთვის, მაგრამ ერთმა მოხუცმა კარის კაცმა ჩუმათ გააპარა საიდუმლო კარებიდან, სავსლათ მისცა ერთი ჰური, ბოთლით ღვინო და უთხრა.

— გასწი შენ კვარე, უცხო მკვარეო, — მშვიდობით. და ნუ დასწეველი ჩემს ბატონს....

— შენ სამაგიერო ჯილდოს მიიღებ, — ნელინის ხმით წაილაპარაკა მკვანძმა, — მიხედე უკან...

მოხუცმა კარის კაცმა ძიხვდა უკან, — და შიშმა შეიპყრო მთელი მისი სხეული, იმის ზურგს უკან აძარტულიყო დაბურული, გაუვალი ტყე, კომპის მაგივრათ სეებსედ დიდი ძალი ვვაგ-უორანი, ჩხიკვები და ბელურები საცოდავი ჭევილით დაფრინამდენ.

აი როგორ ძვირით დაუჯდა თავადს, რომ მან მოინდომა ძაღლებისთვის დაეკლუჯინებინა ჯადოსანი ძარისი!

მოხუცი კარის კაცი ცრემლებ მორეული ჩაუვარდა ფეხ ქვეშ და ემუდარებოდა ეპატეებინა თავადისთვის და ნაძაული.

-- მე არ შემიძლიან ჯადოს მოხსნა, უთხრა მას ძარისმა, — მის განთავისუფლება შეუძლიან მხოლოდ ახალგაზდა ქალსა, რომელიც შეიცოდებს თავადს და დასთანსმდება მასცეს ის, რასაც თავისთვის სთვლის ძვირფასათ... ვინც ამ საქმეს მოჰკიდებს ხელს და არ შეასრულებს, — იმასაც დაღუპვა მოეღოს...

— ძერე როგორ უნდა იცნონ ჩემი ბატონი?.. ჰკითხა მოხუცმა კარის კაცმა.

— შუაგულ ტყეში, — უთხრა ჯადოსანმა, — შენ ნახავ ნანგრევებს კომპისას და იქ ცხოვრობს დიდი ჭოტი ეს არის შენი ბატონი!.. თქვა ეს და ჯადოსანი გაჰქრა, თითქოს დედაძინამ ჩანთქაო...

## II.

დაიწყო თავადის ერთგულმა კარის კაცმა ძებნა



სოფლებში და ქალაქებში ამ ნაირი ქალისა და ვეფხვი-  
ლას უამბობდა თავის ბატონის თავგადასავალს.

ეს ამბავი ვაიკო ერთმა მოხუცმა ქალმა ჰაცივიკი  
და თავისი ორი ქალიშვილით გაეპკზავრა, მათ უკან  
გაიძლოლეს მოსამსახურე ქალი მაგადა, რომელიც  
მიათრევედა უშველებელ დიდ, სკივრს, თავის ქალბა-  
ტონების სულ სხვა და სხვა ტანსაცმელებით სავსეს.

მწელი ასატანი იყო საბრალო მაგადანთვის ამი-  
სთანა ქალბატონებთან სამსახური, რადგან გზაზედ  
მას უნდა სადილიც ემზადებინა, წყალიც ესიღნა,  
ძილის დროს მათვის ევარაუღნა. რათა დაეუარა ქა-  
ლბატონები ყოველგვარ განსაცდელისაგან. ვეჟლა ამა-  
ში ლანძღვა გინების მეტს არას სედავდა...

ამ ქალებმა ბეჭრი იარეს, თუ ცოტა, — ბოლოს  
მიატანეს მოჯადოებულ კომპს. აქ ამათ დასვდათ  
თავადის ერთგული კარის-კაცი და თვალეც ცრემლიანმა  
მიძარტა მათ:

— დემოტმა გადღეგრძელოთ თქვენ, რომ მოხვე-  
დით ჩემი ბატონის საძველათ.

— კარგი, კარგი, შეუტია ქალბატონმა ჰაცივიკმა,  
ეგ ესლა ჩვენი საქმეა, ბებერო, თეფშილოკიავ, ეს  
შენ არ გეკითხება... მაჩვენე მხოლოდ სად იმყოფება  
თქვენი კომპი... შენ კი, სამაგელო, — მიუბრუნდა ჰა-  
ცივიკი მაგადანს, — დარჩი აქ და ჩვენს დაბრუნებაში  
ყოველისფერი მოამზადე: გამართე ფანჩატური და აან-  
თე ცეცხლი, მოამზადე ვახშაში და დაგვიწმინდე ჩვენი  
საუკეთესო ტანსაცმელი!...

ქალბატონი ჰაცივიკი თავისი ორი ქალიშვილით გა-



უდგენ გზას, თავადის ერთგული კარის კაცის ნახლებით, მაგადა კი დარჩა მარტოკა ტრიალ შინდორსედ, მართალია დიდ შიშს განიცდიდა, მაგრამ რა ექნა მოჩჩილ ემას...

დიდხანს იარეს დედ-ძვილებმა ტუის სიღრმეში და თან ლანძღვა გინებით ისენიებდენ თავადს, რომელიც ასე მიუვალ ტყეში ცხოვრობდა.

ბოლოს შეამჩნიეს შორს დიდი კედლები ძველებური კოშკისა და აჩქარეს ფეხი... ჯერ კიდევ შორიდანვე მათ ეურთა სმენას უხმობდენ, შავი ვაზა-ეორანის, ჩხიკვების გუნდის საცოდავი ვვირლი და ჩხავილი, ამათ დანახვაზედ შემოესვივენ ისინი გარს და აღარ ათავებდენ ჩხავილს და თან მოწუბლე თვალით უეურებდენ ამათ..

— ოხ, რა სასიზღარო ქმნილებანი არიან!.. შეჯვირეს ქალებმა, წამოაუღეს ქვას ხელი და დაუწიეს სროლა ფრინველთა გუნდს...

შეძინებული ფრინველნი აქეთ-იქით გაიფანტენ, მხოლოდ მაშინ გაბრახებული ქალბატონი ჰაცივი თავისი ქალიშვილებით, გაუდგენ გზას, და შევიდენ კოშკში.

აქ მათ მოესმათ საშინელი წრიპინი, რამაც შიშის ხარი დასცა მათ, ეს წრიპინი და კვნესა ისეთი გულშემსარავი იყო, რომ გულს აუტოკებდა ვეელას. მარა არც ქალბატონმა ჰაცივმა, და არც მისმა ქალიშვილებმა არაფრათ ჩაგდეს, მხოლოდ ჰაცივმა წამოიძახა:



— ფუ, რა სახარელია!.. ნუ თუ არავის შეუძლიან გაახუმოს ესენი!

ქალები შევიდნენ ბნელ დიდ ოთახში, სადაც ფანჯარასეგ იჯდა დიდი, სახარელი სანასავის ჭოტი, რომელიც ცეცხლის ძვრქვევ თვალებს, ბორბალივით ატრიალებდა...

— აბა, უთხრა დედა ჰაციკმა ქალს, — მიდი მაკ მახინჯთან, მიუბღერსე, დაუეკავუ და მიეცი შენი გულსამკაული, რადგან ის შენთვის ეგელასეგ უძვირფასესია...

— რა საჭიროა!.. შეჭვივინა ახალგაზრდა ქალმა, — ხელსაც არ მივაკარებ მაკ საზისღარს!.. გულსამკაული კი — აი წაიღოს!.. აჭა, მაგისი იუოს!.. და გადისროლა ფანჯარასეგ თავისი გულსამკაული, — იმაკ წუთს სახარელმა ჭოტმა საშინლათ გაანათა თვალები, შემოჭკრა ფრთა-ფრთას და ისეთი სძით დაცვივლა, რომ დედა თავის შვილებით შიშით მაკმაკმა აიტანა...

— ეს რას ნიშნავს? — უნდოდა ეკითხნა დედა ჰაციკს, მარა ამის მაგიერ დაიძახა: — „ევა-ევა-ევა!“...

უფროს ქალს უნდოდა ეპასუხნა:

— აქ რადაც საშინელება ხდებაო?

მაგრამ ამის მაგივრათ მოისმა:

„ჭევი-ჭევი-ჭევი!..“

უნცროსმა დამ მხოლოდ ამოიოხრა:

— ჭევი!...



იმავ წუთში მათ ფრთა-ფრთას შემოჰკრეს და აფრინდენ კოშკიდან, უვავის და ორი ჩხიკვის სახით...

ცრემლებით სავსე თვალებით, ჰირსე ხელებ მიფარებული, ერთგული თავადის კარის-კაცია დაეცა მიწს და მწარეთ მოსთქვამდა:

— ო, ჩემო საბრალო ბატონო!.. ესლა შენთვის გაჭქრს განთავისუფლების ეოველივე იმედი!

ამ ხნის განმავლოში მაგადამ მოამხადა ეოველისფერი, რაც ქაღალატონმა უბრძანა, და დაუწყო ლოდინი, — მარა უკვე შუა ღამე გადავიდა და ქაღალატონები არსად ჩანდენ, მაგადა შფოთავდა და არ იცოდა რა ექნა, — არ იცოდა რა დაემართათ მის ქაღალატონებს და ან სად წავიდენ! ამ შფოთვაში ჩაეძინა მაგადან და მეორე დილით რომ გაეღვიძა ნადვლიანმა გადასწევიტა მათ სამებნელათ წასვლა, შეევედრა ღმერთს და დასმარებას სთხოვდა. აიკიდა მძიმე სკივრი და გასწია ტვისაკენ!...

ძალიან მხელი იყო მაგადანთვის სიარული, რადგანაც ტყე სშირი იყო, ხის ტოტები ერთმანეთში იყო გადახლართულს და ამიტომაც ეოველ ნაბიჯის გადადგმაზედ დაბრკოლებას ხედავდა, ხეების ტოტები აფხაჭნიდენ ხელებს, სახეს და უხევედენ ისეთაც ძველ ტანისამოსს... მარა მაგადა არ აქცევდა უურადლებას და გაბედულათ მიანბიჯებდა, სანამ არ შეამჩნია ტყეში აძართული კოშკის კედლები. აქ სმა მაღალმა სასარელმა ჩხავილმა ფრინველთა გუნდისამ ააშფოთა მაგადა და როდესაც ვარს შემოესვიენ ფრინველების გუნდი და მოწეალების თვალით უუ-



რებდენ მას, — მაგადანს შეეცოდა ისინი, გასსნა საგონებელი  
 საოთ გამხადებული საჭმლის აბვა, ამოიღო ორი  
 ჰური და დაუწყო ფხვნა... მთელი გუნდი ჩხიკებისა  
 და ევაგების განარებული ქრიაშულით მიეხვივნენ  
 ჰურის ასაკენკათ, მხოლოდ ერთი ბებური ევაგი დაჯ-  
 და მაგადანს მხარზედ და ეურში ჩასჩურჩულა:

— ღმერთმა დაგლოცოს, ღმერთმა, კეთილო ბავ-  
 შო! გამხნევი და გაბედულათ შედი კოშკში. დაიხ-  
 სენ ჩვენი ბატონი თავადი და ისიც უნუგემოთ არ  
 დაგტოვებს შენ...

მხოლოდ ერთი ევაგი და ორი ჩხიკვი, — ესენი  
 იევენ ამის ქალბატონი თავის ქალი ვიძლებით,  
 სულ თავზედ დასტრიალებდენ მაგადანს და სახარ-  
 ლათ ჩხაოდენ და ცდილობდენ ამოეწიწკნათ ოვა-  
 ლები მისთვის, — მაგრამ ამან ძლივს-ძლივობით მოი-  
 გერა ის სამკვლები... მოსუცი კარის კაცი შედავდა ეველა  
 ამას, და თვალები ცრემლით ევსებოდა, მარა ვეღარ  
 ბედავდა ხმის ამოღებას.

მაგადა შევიდა მოჯადოებულ კოშკში, და რომ  
 მოესმა შორიდან გულშემსარავი ოხერა და გმინვათა-  
 ვადი ჭოტისა, გული სიბრაღულით აეესო, და სთქვა:

— ო, როგორ უნდა იტანჯებოდეს ის, ვინც ესე  
 გმინავს და ოხრავს! ნეტავი შემეძლოს რამის შეელა..  
 უსათუოთ უნდა ვნახო, ვინ იტანჯება ასე ძრიელად  
 შევიდა იმ ოთახში, სდაც ფანჯარაზედ იჯდა დიდი  
 ჭოტი, მაგადამ რომ ნახა, ის ისე ტანჯული,  
 და როგორ თვალებიდან ცრემლის ნაკადული სდიოდა,  
 — მივარდა იმას, დაუწყო თავზედ ხელის სმა და ნა-  
 სათ უთხრა:



— ოხ, შენ ჩემო ძასინჯო!.. საბრალო ჩემო ჭეუტელაჲ!.. რახედ ტირი და ოსრავ ეგრე?.. რომ ვიცოდე რაშია შენი დარდი,—მე ყოველისფერს ჩავიდენდი შენს დასამშვიდებლათ!..

ამ სიტუვებთან ერთათ გაისმა ისეთი დიდი ბრახუნი, რომ გეგონებოდათ დედამიწა ინძრო, კომკის კედლებმა აქეთ იქით ქანაობა იწყეს, შეძინებულმა მაგადამ უკან დაიწია, მის წინ იდგა ლამაზი, ტანათ მოსული, სავერდებში და ფარჩაში გამოწუობილი ემავილი კაცი...

უცნობმა მხიარულათ გაუცინა მაგადას და ხელი მოჰკვიდა.

საბრალო მაგადა დიდ-ხანს ვერ მოსულიყო გონს და ბოლოს გაუბედავათ შეეკითხა:

— ვერ მეტყუით, სად არიან ჩემი ქალბატონები?.. სომ ისინი აქ წამოვიდენ,—მარა მე ველარ ველირსე მათ დაბრუნებს.

გაჯახვრებით მოიღრუბლა თავადი.

— ნუ მკითხავ იმათხედ ნურაფერს!.. მათ ჩემთვის კარგი არა უნდოდათ რა, რის გამო შესაფერი ჯილდო მიიღეს...

ამ დროს მოსუცი კარის-კაცი შემოვიდა ოთახში, მას ხელში დიდი გალია ეჭირა, იმ გალიაში ისხდენ ერთი დიდი ყვავი და ორი ჩხიკვი...

— აი, ის გულებორტნი, რომელნიც გტანჯამდენ შენ და რომელთაც არ ისურვეს ჩემი განთავისუფლება,—უთხრა მაგადას თავადმა, — წაიუვა ეგენი, როგორც გინდოდეს ისე დასაჯე!..

— ო, უთხრა მგადაბ, თუ ჩემსედ არის დამოკიდებული მკათი ბედ-იღბალი, მაშინ ნება მიეცით თავისუფლათ ინავარდონ ტყეში...

ამ სიტყვების კათავებისათხავე, მის წინ გაჩნდნ მისი წინანდელი ქალბატონი ჰაცავი თავისი ორი ქალიშვილით, რომელთაც მოწიწებით დაუკრეს მგადაბს თავი.

ეზოში გაიხმა მხიარული სიმღერები, — ეს ქეიფობდნ თავადის მხლებლები, განთავისუფლებულნი ჯადოსავან... როდესაც გამოვიდა თავადი ხელჩაკიდებული თავის საცოლეთ მგადაბსთან — ამათ სმაურობამ და კეჟინამ უერთა სმენა დაუერთა ეველას...

**ვანო საათაშვილი.**



## მთვარე არა ეოფიდა!

(ფრანგულიდან).



შვენიერი თიბათვის დღე.  
იყო. სოფელ ბონენკონტ-  
რის მახლობლათ, ვახის  
ფოთლით შებურულს ვატა-  
რა სასლის წინ ცაშეტი  
წლის ბავშვი იჯდა. იმისი  
ფიქრი საშინელ მწუხარებას  
მოეცვა და სახე აუტანელ  
ტანჯვას გამოხატავდა. ის

იჯდა და უგულოდ წიგნს ფურცლავდა.

— გამარჯობა, მარსელენ, მოისმა უცებ იმისას-  
ღოს ტებილი სმა.

— ოჰ, ოქვენა ბრძანდებით ბ-ნო ბუისე, სთქვა  
ბავშვმა და ოდნავ შეკრთა. — მე არ მოგელოდით.

— რასაკერეღია, უპასუსა ახლად მოსულმა — შენ  
ისე იუავი გართული წიგნის კითხვით.

— ოხ, არა, მე არ ვკითხულობდი, მე ვფიქრო-  
ბდი... მე ვფიქრობდი ჩემ საცოდავ ბატონზედ. სთქვა  
მარსელენმა, წიგნი დაკეცა და გვერდით მოიდო.

ცოტა სიჩუმის შემდეგ მოსუცმა ბუისემ სთქვა:

— მე შენ საშველათ მოველი, ხომ არა გინდარა?  
მოდრი მე და შენ დროს გასატარებლათ ფერმის ეზო-  
ერთიანად დავალაგოთ.



— დღეს ნუ, უთხრა ბავშვმა: — დღეს საქმე არ შენა-  
ლისება. დიდიდან მთელი დღე გიჟივითა ვარ. როცა  
მომავონდება, რო ჩემი ჰატრონი იქ არის სულ მარ-  
ტო - მე მაშინ ისეთი უბედური ვარ... მე მიწოდდა!...

მაგრამ ლაპარაკი ვეღარ შესძლო, ხმა ჩაუწყდა და  
ქვითინი დაიწყო. ამ საშინელმა მწუსარებამ ისე ააღელ-  
ვა შოხუცი ბუისე, რომ მან მაგრა ჩაახველა და ლა-  
პარაკი ხოლო მაშინდა შესძლო.

— ვნახოთ, შვილო, საქმე რას გვიჩვენებს, მო-  
ვითმინოთ, ჩემო კარგო, რანაირი მადლიერიც უნდა  
იყო იმისი, დღეიდან საჭიროა გაშავრდე, განსაჯო  
რო მასთან დაშორება აუცილებელია და ამ ახრის თა-  
ვი შეახვიო.

ბავშვმა ჩუბათ თავი გაიქნია.

— შევეჩვიო იმ ახრს, რომ განვშორდე ჩემ მარ-  
ჩენელს, იმას ვინც საცოდავი გაჯავრებული ობოლი  
შეიფარა, ვისაც ის უეკარს და არაფერს არა ჰქოგავს  
მისთვის, როგორც საკუთარი შვილისთვის, არა...  
არასოდეს...

— ხომ იცი, ჩემო კარგო მარსელენ, სთქვა  
აღერსით ბუისემ, — ხომ იცი — რო ჩემთან უოუკლთვის  
ბინა გექნება და ჩემებიც მოხარული იქნებიან, თუ  
ჩვენ შემოგვენიხნები.

— მადლობთ, ბანო ბუისე, მე ძალიან მიუყარ-  
ხართ, მაგრამ ამ ფერმას მე თავს არ დაუანებებ.

— ეს ხომ იცი, შვილო, რომ თუ მამა ფონ-  
ტეილს არ განათავისუფლებენ, ამ ფერმას გაჭედიან.



— შეიძლება, უპასუხა მარსელენმა, მაგრამ დაწინაურებული ვარ, რომ ჩემი პატრონი დაბრუნდება. რაღაცა მაგონებინებს, რომ მსაჯულები გაიკებენ იმის უდანაშაულობას და განათავისუფლებენ.


ამა ბუისემ არაფერი უპასუხა.

მოხუცი ბუისეც რომ ეძაწვილივით დაწინაურებულიყო ფონტეილის უდანაშაულობაში საჭირო იყო ეველას ის მიხეხები დაევიწეებინა, რისთვისაც ფონტეილი დაატუსაღეს. ამას კი კარგად ახსოვდა, რომ სამი თვის წინათ ერთი მათი ძესობელი სასელად რუფიე იზოვეს მოკლული თავის სასლასა და ფონტეილის ფერმის შუა გზასზე. თუძვა რუფიე ძალიან მდიდარი იყო, მაგრამ არავის უყვარდა, რადგან თავის სიმდიდრეს მხოლოდ იმაში იყენებდა რო გროშს გროშზე ადებდა. სცხოვრობდა საწულათ, ეველასფერს იკლებდა, რომ თავისი სიმდიდრე გაკვიდებინა. ერთი სიტყვით რუფიე მოვანსე იყო, რომელსაც ვერაფერი ვერც მოალობდა, ვერც ააღელვებდა. მისმა ასეთმა სასელმა ეველას იმ დასკვნამდინ მიიყვანა, რომ ამ მკვლელობის მიხეხი ან გაქურდვა უნდა ეოფილიყო, ან შურისძიება და გამოძიებაც ამ აზრს დაადგა.

პირველმა გამოძიებამვე გამოარკვია, რომ ფონტეილი მდიდარი რუფიეს სიკვდილისა გამო ერთ საქმეს გადაურჩა. ამ საქმის წაგებით ფონტეილი დაიღუპებოდა.

ამას კიდევ მეორე უფრო ძნელი ბრალდება დაემატა.

იმ ადგილას, სადა მკვლელობა მოხდა იზოვეს ჩირკვესე ჩამოკიდებული მადის ნაჭერი ფონტეილის



სერთუკისა, რომელიც პირველი გამოძიების დროს  
 ეცვა. ის კი ამტკიცებდა მკვლელობის ღამეს ვარეთ  
 არ გამოვსულვარო, თუძცა მერე კი სთქვა: იმ ღამეს  
 რუფიესთან მიველ და ვალის გადახდის დაცდა ვთხო-  
 ვეო. „სახლში არ დამისვდა და უკან დავბრუნდი,  
 უცებ მომესმა ვვირილი, კვნესა... მე შეშინებდა და  
 როგორც გიჟი გამოვიქეცი!! ამ ნაირმა თავის გამა-  
 რთლებამ მას ვერ უშველარა. ის დაატუსაღეს. გა-  
 მოძიებამ საქმეს ვერა მიუძატა რა, ეჭვს იღებდენ და  
 ვერა ხედავდენ ამისთანა სუსტი საბუთებით ამ კარგ  
 კაცის გასამართლებას. ბოლოს ვეველა ჭფიქრობდა რომ  
 ფონტიელს მალე განათავისუფლებდენო, მაგრამ უცებ  
 ისეთი რამ მოხდა, რამაც ფონტიელს საქმე სულ გა-  
 უფუჭა.

ორი კაცი, ლუპია და ფუმკლუ, გამოჩნდენ და  
 ამტკიცებდენ—ჩვენ მშვენივრად გვანსოვს, როცა ბახ-  
 რობიდან შინ ვბრუნდებოდით უცებ ვვირილი გავი-  
 გონეთო და როცა იქით მივაშურეთ, სწორეთ მკვლე-  
 ლობის გათავებასდა მიუსწარითო და მთვარის შუქზე  
 კარგათ დავინახეთ მკვლელიც, სანამ ის გაიქცეოდაო  
 ამ ორ ადამიანს სოფელში ცუდი სახელი ჰქონდათ:  
 მატყუარები, სარმაცები, ლოთები იყვენ. მკვლელი-  
 ბა რომ ძათთვის დაებრალეზინათ არავის არ გაუკ-  
 ვირდებოდათ.

მათმა მოწმობამ კი დიდი შთაბეჭდილება მოახს-  
 დინა, ვეველს ეჭვი დაებადა, რადგან ისინი დაწვრი-  
 ლებით მოუთხრობდენ, მკვლელობის ამბავს.



— ეჭ, თავის და უნებურათ წამოიძახა მოხუცმა ბუისემ: — ისეთი საშინელი მოწმები გამოჩნდნენ, რომ ფონტიელი თავის გამართლებას მკონი ვეღარ მოეხსწრობა.

ემაწვილმა მხრები აიწია.

-- ჰე კი დარწმუნებული ვარ, რომ მას ვერავინ გადატყუნებს.

— მამ შენ ვეველა ბრალდება დაგვიწეებია, ჩემო კარგო.

— არა, ბატონო ბუისე, მე არაფერი დამეიწეებია. ამბობენ, რომ საჩივარს ფონტიელმა თავი მონარქიდაო, მაგრამ მოხუცი რუფიე სომ ეველას უჩიოდა და ვინაჲ იმისი ფული ეძართა და დროსე არ აბარებდა... მოხუცი რუფიე ჩვენში არავის უეჯარდა და ხშირად გამოიგონია იმის სიძუნწე და უკულობა.

ბუისე პატარა ხანს ჩუძთ იყო, მერე კი წამოიძახა — რასაჲ შენ ამბობ იქნება მართალიც იეოს, ჩემო საწყალო ბავშო, მაგრამ შენ ლუპიოს და ფუმელუს საშინელი ჩვენება ძთლად გავიწეებია.

ეს სახელები რო გაიგონა ემაწვილი უცბად წამოხტა „სრულებითაც არა“ წამოიძახა, — მე არაფერი არ მავიწეებია, მაგრამ განა შესაძლებელია ამ ხალხს ვინმემ დაუჯეროს? ვინც კი იძათ იცნობს, ჭირივით ეჯავრებათ, ეველამ იცის რო თავის დღეში მართალს არ იტყვიან. ასე არ არის?

— იძათ აკი გამოჰკითხეს, სად იყვნენ მკვლელობის დროს, მაგრამ მათ დაამტკიცეს, რომ დღე ბაზარში იყვნენ და შინ მაშინ დაბრუნდნენ, როცა უკა-

ნასკნელი საძიკიტხო დაიკუტა. სწორედ ამ დროს შეემლოთ მათ მკვლელობის ნახვა და მთვარის შუქზე მკვლელის ცნობა

ბავშვი ჰატარა ხანს ფიქრობდა, მერე უზახუნა:

— მერე თქვენ როგორ მოგწონთ, რომ ეველა ეს მათ მხოლოთ ორი თვის შემდეგ მოაგონდათ?

— მგონია, ესეც აუხსნეს; მსახულებმა მათი მიზეზები კიდევ შეიწინარეს.

— მე კი უცნაურად მჩვენება, ამდენს ხანს რომ არ გაამხილეს.

— მათი ჩვენება კი მართალი გამოდგა, კარგა გამოიძიეს. მართლა უნდა თავისი თვალთ ენახათ, რომ ასე დაწვრილებით ეამბნათ, რაც 5 აპრილს დამე მოსდა. ეს კია, რომ როგორც ისინი ამბობენ, მთვარეს მეტის მეტად უნდა გაენათებინა, რომ ეველაფერი ასე აშკარად დაენახათ.

მოხუცი ბუისე რომ ლაზარაკობდა, ჰატარა მარსელენმა წიგნი აიღო, ფურცლა დაუწყო და ჩურჩულეობდა:

— მართლა, იმათ სომ ასე სთქვეს რომ 5 აპრილს დამე უნახავთ ჩემი საწვალი ბატონი. მერე უცებ წამოიძახა:

— ოი, მატყუარებო!

და როგორც კივი წამოიჭრა, გაკვირვებული ბუისე იქ დასტოვა, გზისაკენ გაქანდა და ძაღვ სადღაც მიიძალა.

ამ დღეს ორს საათზედ აქენის სასამართლოში მრავალი ხალხი შეკრილიყო და მოუთმენლათ ცი-



დიდა, რომ ბერნარდ ფონტეილის გასაძაბრთლებს მოესძინა. ბრალდებული ეველასათვის საუვარელი კაცი იყო, ეველას კარგად ახსოვდა მისი უმწიკვლო წარსული.

უცებ ბოქაულმა გამოაცხადა, მსაჯულნი მობრძანდებიანო. სიჩუმე ჩამოვარდა. მსაჯულები გამოვიდნენ დარბაზში და დასდნენ. თავმჯდომარემ ბრალდებულის შემოყვანა ბრძანა. ძალე შემოიყვანეს ბერნარდ ფონტეილი და მსაჯულების ჰირდაპირ დასვეს. საწვალს ცრემლები სცვივოდა მწუნარებისაგან დანაოჭებულს ლოყებზედ, სანამ ბრალდებული ოქმსა კითხულობდა. შემდეგ თავმჯდომარის კითხვებზედ ჰასუს ძლივს და აძლევდა. მოწმების ჩვენებას ისე უკვებდა ეურს, თითქოს სიზმარში ყოფილიყო. ვინც მის წარსულს კეთილად და ჰატიოსნათ იხსენიებდა მადლობით გადაჭხედავდა ხოლმე; უნდოდა ლუპიას და ფუძელუს ჩვენება გაეძტუნებინა, მთვარის შუქზედ ფონტეილი ვიცანითო... ტუუილად ცდილობდა, ქვითინმა ერთი სიტყვაც ვერ ათქმევინა. აი ბრალდებულმაც დაიწყო ლაპარაკი, ფონტეილს მთლად თავბრუ დაესხა. ბოლოს მისმა დამცველმა დაიწყო მისი გამართლება.

ფიქრებმა ის გაიტაცეს ჰატარა აუვავებულს სახლისაკენ, სადაც დაიბადა, სადაც სიკვდილიც ესურვებოდა, სადაც ეგულებოდა ჰატარა ობოლი, რომელიც სისარულით იშვილა და შვილზედ ნაკლებ არ უყვარდა.

— საუვარელო მარსელენ, ჩემო კარგო... ჩურჩულებდა... მშვიდობით! ჩვენ ერთმანეთს ვეღარ ვნახ-

ხაფთ. დარწმუნებული ვარ, რომ დამნაშავეთ არ მამჩნევ.

კამათი განთავეს. ყველა დარწმუნდა, რომ ფონტეალს გაამტყუნებდნენ ახალი მოწმების ჩვენების მიზეზით. მსაჯულები წამოდგენ და განახენის გადასაწვევით დარბაზოდან გავიდნენ. როდესაც ბრუნდებოდნენ, დარბაზში სმაურობა ატყდა. სანამ თავმჯდომარე დაახულებდა, ერთი პატარა ბიჭი, ფერმკრთალი და აწიწილი, მიუახლოვდა საჩქაროთ მსაჯულებს, წიგნს იქნევდა, ევიროდა: „მთვარე არა ყოფილა, მთვარე არა ყოფილა!“ კარის ძველი ბისკენ გაქანდნენ, მისი დაჭერა უნდოდათ. ის კი აღელვებული არას ჭხედავდა, არა ესმოდა რა.

— მთვარე არა ყოფილა! იმეორებდა: მავათ ტყუილი სთქვებს; აი ნახეთ!

და საჩქაროთ იმ მაგიდაზედ, სადაც მსაჯულები იხსდნენ, წიგნი დააგდო.

თავის და უნებურად თავმჯდომარემ წიგნი აიღო, გადაძალა და წამოიძახა:

— კალენდარი! რას ნიშნავს ეს?

— მკვლელობის ღამეს მთვარე არ იყო! წამოიძახა ბავშვმა.

ამ სიტყვებმა ყველაფერი გააკვირბინა მსაჯულებს. ყველა აღელვდა, სიძარტლე ამკარად გამოჩნდა: მკვლელობის ღამეს ახალი მთვარე იყო, მაშასადამე მთვარეს საკმაო სინათლე არ ექნებოდა.

ხალხმა მარსელენის ხელში ატაცება მოიწადინა, ის კი თავის მამობილს გულში ჩაეკრა და სიცილ-ცირილით უთხრა:

— მე ძალიან კარგად ვიცოდი, რომ უდანაშაულო იყავით!

ამ ამბით დამსწრე ხალხის აღტაცებას სამხდვარი არა ჰქონდა. ბრალმდებელი წამოდგა, ხელები ლუწიან და ფუძელუსაკენ კაიშვირბ და მჭეკარე სმითა სთქვა:

— ეს ცრუ მოწმები დაატუსაღეთ!

ორი თვის შემდეგ ეს ცრუ მოწმები რუფიეს მკვლელობაში დამნაშავე იცნეს და სამუდამოთ გააპყვეს.

(თარგმანი)

ბ. ავალიშვილისა.



## სარდინკის\*) კოლოფი.



სიარული სადღესასწაულო სადილი თავდებობდა, როცა მიაკლამ, ზღვის ოფიცერმა, რომელიც დიდი ხანი არ იყო დაბრუნდა შორეულ მოგზაურობიდან, შენიძნა თავის დისწულს ვასოს შეჩვეული თითი და ჰკითხა:—ვასო, რათ გაქვს თითი შესვეული, უინვამ დაგძრა განა?

— არა. მია, ეს სულ სულელი, უთავო, თევზების ბრალია!

— როგორ თუ სულელი თევზების! გაიცინა ბიძამ.

— დიას! განა უჭკუოები არ არიან ეს წვრილი თევზები? ისინი სომ უთავოთ ალაგია თუნუქის კოლოფში, რომელზედაც სძირად ვიკაწრავთ ხელებს.

ვასოს ამხანაგებმა სიცილი ასტეხეს მის ოხუნჯობისზე.

— შენი თითის ტკივილი სრულიად თევზის ბრალი არ არის! თუნუქის კოლოფზე გაქვს გაკაწრული, უთხრა მიაძამ.

— ჩემი ახრით კი ფრანგების ბრალია, მე მამამ მიაძამო, რომ ფრანგები ამხადებენ მთელი ქვე-

\*) წვრილი თევზები.



ენიერებისათვის ამ გვარათ კოლოფებში თევზებს, ვასოს ამხანაგმა.

— ეს უველაფერი კარგი, მაგრამ აბა ძითხარით, იცით თქვენ რისთვის აწუბენ კოლოფებში თევზებს? სად იჭერენ და როგორ ამზადებენ? ჭკითხა მათ მე-სღვაურმა.

— არაფერი არ იციან და ძრეელ კარგს იზამ, თუ გვიამბობ. უველანი დიდის სიამოვნებით მოვისმენთ, უთხრა ვასოს დედამ.

— მე მხათ ვარ გიამბოთ, ვისაც გნებავსთ მომისმინეთ.

სადილის შემდეგ უველანი შეკროვდენ ბავშვების ოთახში.

„ძრავალი ჯიშის თევზებია ქვეყანაზე, მაგრამ იმისთანა ჯიშისა ცოტა არის, რომელიც დედამიწის უოველ კუთხეში ივევს ერთნაირად ცნობილი, დაიწყო მესღვაურმა საუბარი, — ამათ რიცხვს ეკუთვნის ლიფსიტები. ეს თევზები ზოგი დამარილებულნი, ზოგი გამხმარნი მილიონობით იგზავნიან დედამიწის უოველ კუთხეში იმ ადგილიდან, სადაც მათ იჭერენ. ლიფსიტების ჯიშს ეკუთვნიან აგრეთვე სულ წვრილი თევზები: ჭიჭუნა თევზი, ნაფოტა ბ სხვა ძრავალი წვრილი თევზები, უველა ესენი მლაძე ზღვის შვილები არიან, იქ ბინადრობენ. ესენი ცხოვრობენ დიდი ქარაუნებით. ერთი ადგილიდან მეორეზე ერთად გადადიან, სანდრმათ ჩაუშვებიან ზღვაში და ოკეანეში, სან ზევით ამოვლენ, სან ძრეელ დამორღებიან ნაპირს, სან კი სულ ახლოს მოვლენ ნაპირთან, ნამეტურ მაშინ, რო-

დესაც ქვირითს ჭყრიან. დიდის სისარულით ელიან ამ დროს ნაპირთან მცხოვრებნი, თევზი ქვიძასავით მოასკდება ნაპირს, მაშინ მეთევზეები ნავებში ჩასხდებიან და გაეშურებიან ზღვაში. იჭერენ ბადით, გამოაქვთ ნაპირსე აუარებელი თევზი და სხვა და სხვა ნაირად ამხადებენ, როდესაც თევზი ნაპირიდან კარგა მოშორებულია, მაშინ მეთევზეები გემებით გადიან ზღვაში. იჭერენ იქ თევზს და გემებსედგე ამაროლებენ. საცხოვრებლათ ეველა თევზებს ერთნაირი წყალი კი არ უყვარს: ზოგი ბინადრობს ჩრდილოეთის ცივ ზღვებში, ზოგი სამსრეთის თბილ წყალში, ნახი სარ— დინკა, რომელსედაც გელაპარაკებით ცხოვრობს ატლანტიის ოკეანეში და მისს უბებში. მათი სამფლობელო იწეება ინგლისის სამსრეთ ნაპირებიდან და თავდება სძელთა-შუა ზღვაში. ეს ლაძახი ვერცხლის ფერი, ნახი ქერქლით შემოსილი თევზი დასეირნობს ზღვის სივრცეში აუარებელი ქარავნებით, საზრდობს ჰაწაწკინტელა ზღვის ცხოველებით, უთვალავ რიცხვს ამ ჰატარა ცხოველებისას ელანავს ლიფსიტები, სამაგეროთ მათაც მრავალი მტერი ჭეხავთ: წყალში მათ უჭირებს საქმეს მტაცებელი თევზები, ზევით მათ ანადგურებს ზღვის ტალღებსე მონავარდე ფოცხი; ნაპირსე უხვდება უმთავრესი მტერი— ადამიანი. ჰატარა, ძრიელ ჰატარა სარდინკა, თითქმის ეველა თევზსე უხატარავესია, მაგრამ ის შეადგენს ნამდვილ სიმდიდრეს ზღვის ზოგიერთ ნაპირებისას. უთვალავი რიცხვის სარდინკას იჭერენ ამ ადგილებში ეოველ

წლავ, მოხდება ისეც, რომ რაიმე მიზეზის გამო თევზი არ მივა ამ ადგილებში, მაშინ მცხოვრებლებსათვის ნამდვილი უბედური წელიწადი დგება. სწორედ შიმშილი მოელის მათ ისე, როგორც მიწის მუძას ზურის მოუსაველობის დროს:

ზოგჯერ მეტად დიდხალ თევზს იჭერენ: ნედლს თევზს ჭეიდიან ქარსნებში, სადაც მშვენივრად ამხადებენ და ინახავენ თუნუქის კოლოფებში ისე, რომ ჭყერი სრულებით შიკ არ ჩავიდეს.

— ნედლათ არა სჭამენ სარდინკას? ჭკითხა ვასომ.


— როგორ არა, ნედლათაც სჭამენ, მაგრამ შედარებით უფრო ცოტა სადღება ნედლათ, მიუგო ძიამ.

— ძიაჯან, რაღა უსათუოთ თუნუქის კოლოფებში ინახავენ?

— ნუ ჩქარობ, ბიჭო, ესლავ ვიამბობ ეველაფერს, ჯერ მე არ მითქვამს თუ როგორ იჭერენ ამ წვრილ თევზებს.

(შემდეგი იქნება).

იტა ნაკაშიძე.





ანდანები.

პატივმა თქვა: ერთს ორათ ვერ გადავაქცევ, მაგრამ ერთს ისე გავაკეთებ, რომ ორსა სჯობდესო.

გამოცანები.

(წარმოდგენილი ან. კაპანძისაგან).

ერთსა პატარა მინდორსა  
სდგას ოცდა ათი კაცია,  
მათ ორი მოციქული ჰყავთ,  
ტანთა სპეტაკი აცვიათ.

ქალაში მტრედი ღულუნებს,  
ერთი ჰკლამს, ერთი უყურებს.

რეხები.

(წარმოდგენილი მათიკაშვილისაგან)



ბ  
,  
ვ



ა  
ბ  
გ



ვ  
ი



სიზუმის ნიშანი

მ



ქ



ლედიშენის ქა-  
ლი შვილი.

ზ  
ვ



ახსნა:

გამოცანებისა: ბაყაყი, კალია, ვარსკვლავები.

გეოგრაფიული ამოცანა: ფასანაური, ონი, თელავი, იორი=ფოთი.

შარადა: ბუხარი.

რებუსი: თამარ მეფე საქართველოს მეფე იყო.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## შემოდგომის ღამე.



აფი ღამეა; ცა გლოვობს,  
 ძაძა მოლუსხამთ მაღალ მთებს.  
 კმუნვით მტირალი გრიგალი.  
 დაჭრილ მხეცივით ღრიალებს  
 ხან ფანჯრებს მოუკაკუნებს,  
 ხან მწარე ქვითინს მოჰყვება,  
 — „მამა, მამილო! მითხარი  
 სად არის ნეტავ დედაო?

„მახსოვს პატარას, როს ქარი  
 ქვითინსა დაიწყებდაო  
 მე შიშით ვთრთოდი, ვტიროდი  
 მანუგეშებდა დედაო“

„და ეხლაც მახსოვს ის ნანა,  
 ის დედის ტკბილი ხმებიო...  
 მამა! სად არის დედილო  
 მითხარი გენაცვლებიო.“

ჩაჰკითხავს ბავშვი მამასა,  
 და როცა პასუხს მიიღებს,  
 თავს ჩაჰყოფს ბავშვი ქვითინით  
 და ქარი მწარედ ბანს აძღვეს.

ტ. ტაბიძე.

# ბიძიას ნაამბობი.

(ბავშვების ცხოვრებადან).




ასილ პეტროვიჩის ბევრი თხოვნის შემდეგ, ჩემმა ძმამ წაგვიკითხა შემდეგი ამბები:

## 1. დიდი რვილი \*)

როდესღაც დიდი გვალვა იდგა: გაშრა მდინარე, გაშრენ წყაროები, გახმენ ხეები, ჩირგვები და ბალახი, უწყლოთ იხოცება ადამიანი და ცხოველები.

ლაშე სახლიდან გამოვიდა, ლიტრით ხელში, პატარა ქალიშვილი და დაიწყო ხეტიალი აქეთ-იქით, რომ თავის ავათმყოფი დედისთვის წყალი როგორმე ემოვნა. ბევრი იარა, მაგრამ ვერსად იმოვნა წყალი და დაღლილ-დაქანცულს იქვე ბალახებში ჩაეძინა. როდესაც გაიღვიძა, წასწვდა ლიტრას და კინალამ წყალი დაღვარა. ლიტრა სადღე იყო წყლით... ქალიშვილს გაეხარდა წყლის მოვნა, უნდა დაეღია კიდევ, მაგრამ მოაგონდა თავისი ავათმყოფი დედა და ლიტრით ხელში გაექანა შინისაკენ... იგი ისე საჩქაროთ მიაბრებინებდა წყალს, რომ ვერ შენიშნა იქვე მწოლარე ფინია, წამოჰკრა ამას ფეხი, წაიბოჩიკა და ლიტრა ხელიდან გაუვარდა... ფინია საცოდავით წკმუტუნებდა. ქალიშვილი დაღონდა: ეგონა წყალი დაეღვარა, მაგრამ მალე შენიშნა, რომ ლიტრა ბინაზე იდგა და ერთი ცვარი წყალიც არ დაჰკლებოდა. ქალიშვილმა ხელის გულზედ დაისხა წყალი, მუქით მიუშვირა ფინიას, ამა-

\*) რუსულათ რომ „Большая Медведица“-ს ეძახიან ქართულათ „დიდი რვილი“ ჰქვიან; ეს ამბები ვკუთვნის რუსეთის გამოჩენილ მწერალ-ფილოსოფოს ლევ. ტოლსტოის.



ნაც ხარბათ შესვლიბა წყალი და გამხიარულდა... ის იყო ქალიშვილმა წამოავლო ლიტრას ხელი და უნდა წასულიყო, მაგრამ შენიშნა, რომ მისი თიხის ლიტრა-ვერცხლის ლიტრათ გადაქცეულიყო. ქალიშვილმა მარდათ მიიღბინა სახლში და ავთმყოფ დედას ვერცხლის სურით მისთავაზა წყალი. დედამ უთხრა: „შვილო! ჩემი ღღეები დათვლილია, დღეს ან ხვალ უნდა სული დავლიო და ისა სჯობია ეს წყალი შენ გამოიზოგო და დალიო ხოლმე“. იმ წუთსავე ვერცხლის ლიტრა ოქროს ლიტრათ გადაკეთდა. ქალიშვილმა ახლა კი ველარ მოითმინა, მოაყუდა, ის იყო უნდა წყალი დაელია, რომ ოთახში ვიდაც მწირი შემოვიდა და სთხოვა იმისთვის დაეღვევანებინა წყალი. ქალიშვილმა იმ წავსწვე ლიტრა პირიდან მოიშორა და წყალი მისთავაზა მოულოდნელ სტუმარს. უეცრივ ლიტრა შეიმკო შვიდი ძვირფასი მარგალიტით და ალქასის თვლებით და გადმოჩქებდა იქიდან წმინდა, მშვენიერი ნაკადული. ეს შვიდი მარგალიტი კი წავიდა სულ მაღლა-მაღლა, ცაში და გადაკეთდა დიდ რვილათ.

## 2. ქვები.

ორი დედა-კაცი მოვიდა ბერი კაცთან ჭკუის სასწავლებლათ. ერთი მათგანი ძალიან ცოდვიანათა გრძნობდა თავს. მეორეს კი არაფერი ცოდო არ აწუხებდა და კნაყოფილი იყო თავისი თავისა.

ბერი კაცმა ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა, რაც კი რამ შეეხებოდა მით ცხოვრებას. ერთმა ყველა ცოდო გულწრფელათ გაუზიარა მოხუცს: ამას თავისი ცოდო ისე დიდათ მიაჩნდა, რომ ელოდა მოხუცისაგან შენდობას; მეორემ კი უპასუხა: მე არც ერთი ცოდო არა ჩამიდენია ჩემს სიცოცხლეშიო. ბერიკაცმა უთხრა პირველს:—წადი, მონავლეთისაო, ამ გაღაენის გარეთ და მიპოვნე იმისთანა ქვა, რომელიც კი შეგიძლიან დასძრა და მომიტანეო. შენკი, უთხრა მეორეს, რომელმაც ცოდო არ იცოდა, წადი და მოკრიფე კენჭები და რამდენიც შესძლო, იმდენი მომიტანეო. წავიდენ დედა-კაცები და შეასრულეს მოხუცებულის ნაბრძანები. ერთმა მოიტანა დიდი ლოდი, მეორემ კი კენჭებით გატენილი ტომარა. ბერი კაცმა გაშინჯა ქვები და უთხრა:



— აი ახლა რას გააკეთებთ: წადით, იმავე ადგილს დაყარეთ ეს ძეგები და მერე ისევ ჩემთან დაბრუნდითო.

დედა-კაცები წავიდნენ ბრძანების შესასრულებლათ. პირველმა ადვილათ იპოვნა ის ადგილი, საიდანაც აიღო ლოდი და დააგდო იქ. მეორემ კი ეძია ას ალაგები, სადაც აკრითა კენჭი და ვერა რიგათ ვერ იპოვნა და ისევ ისე ტომრით სავე კენჭებით დაბრუნდა ბერიკაცთან.

— აი ამ რიგათ არის ხოლმე, სთქვა ბერიკაცმა, ადამიანის ცოდნების: შენ ადვილათ იპოვნე ადგილი, საიდანაც აიღე დიდი და მძიმე ლოდი, რადგანაც კარგად გახსომდა და ხელცარიელი დაბრუნდი ჩემთან. შენ კი ვერ შესძელი იმ ადგილის პოვნა, საიდანაც კენჭები აკრითე, რადგანაც ხსოვნამ გიმტყუნა, შენ. იგივე ითქმის ცოდნების შესახებაც. შენ გახსომდა შენი ცოდო, გულში ატარებდი ხალხის საყვედურს და საკუთარი სინდისის ქეჯნას, მიმშვიდდებოდა გული და ამისთვისაც თავისუფლდებოდა ცოდნების შედეგიდან.

— შენ კი, მიუბრუნდა მეორე დედა-კაცს, რომელმაც კენჭები უკანვე მიუტანა, — პაწაწინა ცოდნებს სჩადიოდი და არ გახსომდებოდა და არ ინანიებდი მას, ცხოვრებამ შეგაჩვია ამ ცოდნებს კიცხამდი სხვებს და ღრმით ფეხებოდი ცოდნებში. ჩვენ ყველანი ცოდვიანები ვართ და ვიღუპებით, თუ ვინიცობაა არ მოვინანიებთ ამ ცოდნებს.

### 3. ქათამიც რომ წყალს დაღვეს ღმერთს შეხედავს.

ძველ დროში სცხოვრობდა ერთი კეთილი, ბატონი რომელსაც ყველაფერი აუარებელი ჰქონდა და მრავალი მონა დასტრიალებდა თავს. მონები ქება-დიდებით იხსენიებდნენ მას; ესენი ამბობდნენ: ცის ქვეშ არ მოიპოვება ამის ბადალი ბატონიო: იგი ჩვენ გვაქმევს, გვასმევს, გვაცმევს ზივიანათ, გვაშუშავებს შეღავათიანათ, ერთს ცუდ სიტყვას ვერ გაიგონებ ამის პირიდან და არავისთვის ბორბოტს არ მოინდომებსო; არა ჰგავს სხვა ბატონებს, რომლებიც თავის ყმებს პირუტყვე-ბზედ უარესად ექცევიან, ბრალსა და უდანაშაულოს ახრჩობენ და ერთი კეთილი სიტყვა არ გამოდის მათი პირიდანაო. ჩვენს ბატონს კი ჩვენთვის კეთილი უნდა, სთესავს ჩვენთვის

კეთილსა და კეთილს სიტყვას გვეუბნება. ამისთანა ჩვენს ცხოვრებას რაღა შეედრება ამის შემდეგაო!

ასე აქებდენ ზონები თავის ბატონს. ასეთი ტკბილი დამოკიდებულება ყმებისა ბატონთან შეშურდა ეშმაკს, ჩაიგდო ერთი მონათავანი, სახელათ ალებო და უბრძანა მას თავისი მონა-ამხანაგები ცოდოში ჩაყაროს. ერთხელ, როდესაც მონები დასხდენ დასასვენებლათ და აქებდენ თავის ბატონს, აღიძალა ალებომ ხმა და უთხრა ამხანაგებს: „ტყუილათ აქებთ, ჩემო ძმებო, ჩვენს ბატონსა ეშმაკსაც. რომ აგრე ერთგულათ ემსახურო, იმის გულსაც კი აღვილათ მოიგებთო. ჩვენ ერთგულები ვართ ჩვენი ბატონისა, მის გულს ვიგებთ, მის განძრახვასაც კი მალე უხვდებიო და ვაკეთებთ იმას, რაც ამასა ნებავეს და აბა კეთილი განწყობილება როგორ ან უნდა ჰქონდეს ჩვენთანაო: აბა გულს ნუ სოუგებთ, აბა ცოტაოდენი გულ-გრილობა აჩვენეთ საქმეში და მაშინ ნახავთ, რომ მან ბოროტ ბატონზე უარესი არ გვიყოს, სიცოცხლე არ დაგვიმწაროსო“!! სხვა მონები არ დაეთანხმენ ამაზედ და დანაძლევდენ კიდევ. ალებომ თავს იღო ბატონის გაჯავრება იმ პირობით თუ ვინცობაა ალებო ვერ მოახერხებს ბატონის გაჯავრებას, მაშინ იგი სადღესასწაულო ტანისამოსზე უარს იტყვის, და თუ გააჯავრა, მაშინ ამხანაგები მოვალენი არიან მისცენ თავიანთ საკუთარი სადღესასწაულო ტანისამოსი და, თუ ვინცობაა ბატონი მოინდომებს ალებოს ბორკილით დასჯას და ციხეში ჩასმას, მაშინაც ამხანაგები მოვალენი არიან გამოესარჩლონ ალებოს და დაიხსნან იგი განსაცდელისაგან. ასე, ამგვარათ დანაძლევდენ იგინი და მეორე დღესვე ალებომ გადასწყვიტა ბატონის გაჯავრება.

ალებო ბატონთან მეცხვარეთ იდგა, თვალ-ყურის მჭერელი იყო კარგი ჯიშისანი ცხვრებისა. აი ერთ დილას, როდესაც ბატონი სტუმრებთან ერთათ შევიდა ფარეხში ჯიშისანი ერკემლების საჩვენებლათ, მეცხვარემ ეშმაკურათ უთხრა ამხანაგებს: — მითვალთვალეთ, ეხლავე ვავაჯავრებ ბატონსაო. მონები შეიკრიფენ, ჩადგენ გალავნის კარებში და იქიდან გაიქცირებიან ბატონისაკენ; ამ დროს ეშმაკი ავიდა ხეზედ და აქედან თვალ-ყურს ადევნებს დამონავებულ მეცხვარის მოქედებას. მიიარ-მოიარა ბატონმა ეზო, სტუმრებს აჩვენა ცხვრები



და ბატონები და ბოლოს მოინდომა ჩვენება თავისი საუკეთესო ერკემალისა.

— ყველა ერკემალი კარგია, სთქვა ბატონმა, მაგრამ აი ეს რქებ დაგრებილა ყველაზედ უკეთესია და ჩემს ორთავ თვალს მირჩევნია.

ირევან ეზოში ცხვრები და ერკემლები და ვერ იქნა და ვერ სტუმრებმა ახლო ვერ გაშინჯეს ეს საუკეთესო პირუტყვი; დადგება თუ არა ეს ერკემალი ერთს ადგილას, მაშინვე ეშმაკის მონა ჩუმათ დააფრთხობს ცხვრებს და ესენიც ისე ირევან, რომ შეუძლებელი ხდება იმ ერკემლის ახლო ნახვა. ვერ იქნა და ვერ სტუმრებსმა ვერ გაიგეს ამათში რომელია პირველი და საუკეთესო ჯიშის ერკემალი! მოსწყინდა ბატონს ეს ამბავი და სთხოვა ალებოს:

— „ალებო, ჩემო ძვირფასო მეგობარო, აბა ფრთხილათ დაიჭირე აი ეგ რქებ-დაგრებილა ერკემალი და შენვე გააშინჯე ჩემს სტუმრებსაო. სთქვა ეს ხო ბატონმა, ალებო, როგორც ლომი, ჩავარდა ცხვრებში, იმ საუკეთესო ერკემალს ასჭიდა მატყლში ერთი ხელი და მეორე ხელი წაავლო უკანა ფეხს, ასწია მალა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გასწია ფეხი და ტაცა-ტყუცი აუყენა, როგორც ქერქ-შემოცლილმა ნაძვმა იცის ისე. გადაუტეხა ალებომ შიგ კოჭში ერკემალს ფეხი. დაბდავლა საცოდავთ ერკემალმა და დაეცა წინა მუხლებზედ. ახლა სტაცა ალებომ ხელი მარჯვენა ფეხში, ესაც გადაუტრიალა და როგორც მათრახი, ისე ჩამოეკიდა ფეხი. ამოიხრეს სტუმრებმა და მონებმა, ეშმაკს კი გაეხარდა, როდესაც შენიშნა ასეთი გამჭრიახობა თავისი მონისა. ბატონი მურზე უარესათ გაშავდა, შეეტყო დაღრეჯილება, თავი ჩაღუნა და ხმა კრინტი არ დასძრა. გაჩუმებულნი იდგენ სტუმრებიცა და მონებიც... უცდიდნენ—რითი გათავდებოდა საქმე გაჩუმდა ბატონიც, მერე შეიბერტა ბექები, თითქო ტანიდან რილასიც მოშორება უნდაო, აიღო მალა თავი და თვალები შეაჩერა ალებოს ბევრხან უცქირა მას და შემდეგ ღიმილით უთხრა: „ოჰ ალებო, ალებო! შენმა ახალმა ბატონმა ჩაგაგონა შენ ჩემი გაჯავრება, მაგრამ ჩემი ბატონი შენს ბატონზედ უფრო ძლიერი ყოფილაო: შენ ვერ შესძელი ჩემი გაჯავრება და მე კი გავაჯავრებ შენს ბატონსაო. შენ სას-



ჯელის გეშინოდა და განთავისუფლება მოინდომე, მაგრამ იცოდნე, რომ მე არაფერ სასჯელს არ მოგაყენებ; და რადგანაც ჩემთან ყოფნა არ მოგწონს, აი სტუმრების თანადასწრებით განთავისუფლებ შენ: წადისაითაც გინდოდეს და თან წაიღე შენი სადღესასწაულო ტანისამოსიცაო\*.

ამის შემდეგ ბატონი სტუმრებთან ერთად წავიდა სახლში ეშმაკმა კი გააკრატუნა კბილები, ჩამოვარდა ხიდან და ჩაინთქა დედა-მიწის უფსკრულში.

### რათა? რისთვის?

იმ ბრწყინვალე საღამოს შემდეგ რამდენიმე ხანი გავიდა ჩვენი ძვირფასი სტუმრები სხვა სოფლებში წავიდნენ ჩვენი სკოლელების დასაოვალიერებლათ და მითი მოქმედების შესატყობრათ საზოგადო ასპარეზზედ... ისე გაიხაროს თქვენმა გულმა, როგორც მე გახარებული ვიყავი ამ ხანებში: უფრო გავცოცხლდი, გაემხნევი ხორცმა იმატა, გული საგულეში ჩამიდგა და ჩემს ცხოვრებას ნათელი მოეფინა... საღ სხეულში საღი სული ტრიალებსო, გვეუბნებიან სწავლელები, მაგრამ ცხოვრებამ და გარემოებამ სულ სხვა მაჩვენა და სიტყვები სრულიათ უკულმა დაენახა ჩემს აზვირთებულ გონებას... როცა სული მალღობს, სინიდის შელახული არა გაქვს, შეძლებისა და გვართ როდესაც მუშაობ საზოგადო ასპარეზზედ, მაშინ გულიც არხინათა გაქვს, ცხოვრებაც დაწყნარებული და დამშვიდებული და ამ მდგომარეობაში ხორციც გემატება და სიკოცხლევ სანეტაროთ ხდება!! სწორეთ ასეც მომივიდა დღეს მე: ჯანი მომეჩატა, ჩემი მკრთალი, მიბნედილი სახე ვარდის ფრათ შეიღება, ხალისი მომეჩატა, გულმა სიტკბოება იგრძნო, სიბრალული და სიყვარული ჩაეჭირა მის სიღრმეს და ია და ვარდის სურნელება მოეფინა მთლათ ჩემს არსებას... კარგია ასეთი მდგომარეობა, მაგრამ უფრო კი კარგი იქნებოდა, რომ შავი ღრუბელი არ ასდევნებოდა ამ ნეტარებას, შავს ყორანს არ დაეჩრდილა ეს ნეტარი წუთები! ერთს დილას, როდესაც ვემზადებოდი, რომ საღმე სხვა სოფელში წავსულიყავ და იქაც დამენახა ჩემი ამხანაგების მოქმედებანი, ჩვენსა შემოვიდა პალიკო, ჩუმათ გარეთ გამიძახა და აღელვებულმა გადმოძკა



წერილი და საჩქაროთ შომშორდა, წერილი გულის ფანცქალით  
გავხსენი და შემდეგი სტრიქონები წავიკითხე:

### საყვარელო ძმაო!

ამ წერილს ციხიდან გწერ. როდესაც უნიდან წამოვედი  
და კარგათ მოშორებული ვიყავით ჩვენი სოფლის არე ზარეს,  
შორიდანვე დავინახეთ ბოქაული ათი დაიარაღებული ჩაფრით,  
წინ ჩვენი სოფლის მწერალი მოუძღოდა და როდესაც დაგვი-  
პირდაპირდენ, ამ იუდა-კაცმა ჩვენზედ რაღაც აჩვენა; შეგვა-  
ყენეს, გაგვჩხრიკეს, ვერაფერი გვიპოვნეს, მაგრამ მაინც ცხვრე-  
ბივით გაგვილალეს და „ვირის აბანოში“ ამოგვაყოფინეს თა-  
ვი... როგორც იყო პალიკო დავიხსენით და გამოვაშვებინეთ  
და აი ამის ხელით გიგზავნი ამ ბარათს ნურათფრისა ნუ შე-  
გეშინდებათ: ეცადე დედაჩემმა არ გაიგოს ეს ამბავი... საცო-  
დავს თავის სიცოცხლეში ერთი კეთილი არ უნახავს და ეს  
გარემოება მაგას ბოლოს მოუღებს... ჩვენი დაქვრის მიზეზს  
აღვიღათ მიჰხედვები: თქვენმა მწერალმა გაქვცა, თუმცა არა-  
ფერი გასაცემი არ იყო, რადგანაც ხალხს იმ საღამოზე ისეთს  
რამეებს უკითხავდით, რომლებიც კითხვაც კი ამ ციხეშიაც  
შეიძლება... მაგრამ მაინც გაქვცა... ბოროტი კაცი აღდგო-  
მასაც ბოროტი იქნება... როცა დაგვიჭირეს, მამასახლისიც  
უკან მისდევდა ამათ ზოშორებით... როცა ჩვენ ახლო გაუა-  
რეთ, მან თავი ჩაღუნა, ეტყობა შერცხვა და თვალი თვალ  
ვირ გაგვიყარა. ესაც იარაღია მაგ მწერლისა, მაგრამ იარაღი  
უნებლიეთა. რომ მოვიდეს ვინმე მანდ, ყველაფერი ჩვენზე  
უთხარით, ყველაფერი ჩვენ დაგვაბრალეთ, რომ ეგ საცოდავი  
ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენი მიზეზით არაფერი ავნონ... მხო-  
ლოთ ეს გახსომდეს, რომ ბევრნი არიან უდანაშაულოთ და-  
სჯილნი და, რასაც ჩვენ ავიტანტ, სოფლელები ვერ აიტანენ  
და კრულვა—წყევლით მოგვიგონებენ ჩვენი ფიქრი ნუ გაქ-  
ვთ, მალე ვნახათ ერთმანეთს... მხოლოთ მანამდის მხნეთ იყა-  
ვით და დედას გაუფრთხილდი... დანარჩენს პალიკო გიამ-  
ბობს.

შენი ძმა ანსონი.

ამ წერილმა მომკლა და დამიდაგა გული... რათა? რი-  
სთვის? რა დანაშაულობისთვისა სჯიან ჩემს ძმასა და ვასილ  
პეტროვიჩს? ამათ კეთილის მეტი ხომ არა ჩაუდენიათ რა?

განა ხალხზე ზრუნვა დანაშაულოთ უნდა ჩაეთვალოს ადამიანს? განა ავაზაკთა და გაიძვერას უნდა ადგილი ჰქონდეს ყველგან და პატიოსანი, სათნოიანი ხალხი კი იღუპებოდეს და ღვებოდეს ციხეში. ერთი ერთმანეთზე ამერივენ ეს კითხვები, მაგრამ პასუხი არსად იყო, რადგანაც ჩემი აზვირთებული გონება უფრო და უფრო ზვირთდებოდა, აღელვებული გული ბრაზით ივსებოდა, სიყვარული და ნეტარება სიძულველათ და სიბოროტეთ ინთხეოდა გულიდან. მე იმ წუთს შინდოდა დიდათ გადავქცეულიყავ, ძალა და მხნეობა მქონოდა, რომ შემძლეობოდა მტარვალებთან საბრძოლველათ გასვლა და სიბოროტის დათურგენა, მაგრამ რითი, რა ძალით? უნდა გავჩუმებულიყავ ჯერ-ჯერობით, ძალა უა სიმხნე მომეგროვებინა და ვაემკლავებულვიყავ იმ ერთს გაიძვერა კაცს მაინც, რომელმაც ასე ურცხვათ გაგვცა და ხალხის მეგობარნი უღანაშაულოთ დასჯილებათ გადააქცია. გადავწყვიტე ამ საქმეზედ ხალხთან მომელაპარაკნა.

აღიქ. ნათაძე.




# მაიმუნი



ცხელ ქვეყნების ცხოველთა შორის ფრიად საყურადღებოა მაიმუნი. შეგვიძლია სრულის სიმატლით ვუწოდოთ მას „მკვიდრი ტყეებისა“, რადგან გასაოცრად უყვარს ტყეში ხეებზე ყოფნა. უხეოდ ისე ვერ გასძლებს, როგორც თევზი უწყლოდ; თითქმის მთელს თავის სიცოცხლეს ხეზე ატარებს. ისე თავისუფლად მიმოდის ხის შტოებზედ, ისე მარჯვედ ხტის ხიდან ხეზე, როგორც ჩვენ დავდივართ ხოლმე დედა-მიწაზე ენ ავდივართ და ჩამოვდივართ კიბის საფეხურებზე. მაიმუნები არიან მრავალგვარნი. ზოგი ტანათ პატარაა, თრითინასოდენი, ზოგი კი დიდი, ადამიანისოდენი, მაგრამ უფრო სრული მხარ-ბეჭიანი, ვიდრე ადამიანი, და უფრო ღონიერაც. ზოგს გრძელი კული აქვს, რომლითაც შეუძლია საჭიროების დროს შტოზე დაეკიდოს. ზოგი კი სულ უკუდოა. ზოგს გრძელი და რბილი ბალანითა აქვს სხეული შემოსილი, ზოგს მოკლე და მოელვარე ბალანითა. ზოგს სულ ტიტველი პირისაზე აქვს და სახის გარშემო შემოყოლებული ფუნთუშა ბალანი: კაცს ეგონება, პირი მოუპარსავს და გარშემო ქილვაში (ბაკენბარდი) დაუტოვებიაო.

ზოგიერთი მაიმუნები თავის გარეგნობით ძალიანა ჰგვანან ადამიანს. ამასთანავე რამდენათ უფრო თოთოა მაიმუნი, ესე იგი უფრო ჩვილი, მსგავსებაც იმდენად უფრო მეტი აქვს ადამიანისა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თოთო მაიმუნს პირისკანი დაქმუჭვილი აქვს, როგორც მოხუცებულ ადამიანსა. ოთხფეხს ცხოველებს რომ შევადაროთ, დავინახავთ, რომ მათი ფეხები და მაიმუნისა სულ სხვადასხვაა: მაიმუნის



ფეხები საოცრად მოგვაკონებს ადამიანის ხელებს. ცერი აქვეს საკმაოდ გრძელი და შეუძლია ცალკე ამოძრავოს დანარჩენი თითების დაუხმარებლად. ამიტომ მაიმუნს ეძახიან „ოთხხელა“ ცხოველს. მას ისე შეუძლია დადგეს უკანა ხელებზედ და იაროს, როგორც ჩვენ დავდივართ ხოლომე ფეხებით. მაგრამ ამ სახით სიარული არ ემარჯვება და უფრო ხშირათ ოთხით დადის და არა ორი ხელით.




გარილა.

საზოგადოდ მაიმუნები ძალიან მკვირცხლნი და მხიარული ხასიათისანი არიან. თვალს ვერ მოასწრებ, ისე დასრიალობენ ხის ტოტებზე და ლიანებზე. რანაირად ცელქობენ და როგორ ეთამაშებიან ერთი მეორეს, რომ განახათ? ისეთ-

ნაირად იღმიჭებიან ამ დროს, რომ შეუძლებელია არ გაგაცინოს მათმა დანახვამ. გრძელ-კუდა მაიმუნი მარტო ხელებით კი არ საქმობს ხეზე სიარულისა და ცელქობა-თამაშობის დროს, არა, — კუდასაც ისე ხმარობს, როგორც ხელსა. შოაკაუჭებს კუდის ბოლოს, მოხვევს ხის შტოსა, და შეჭტება იმ შტოზე. ამგვარად, როგორც ჰხედავთ, მაიმუნს კუდი მეხუთე ხელის მაგიერობას უწევს, როდესაც იგი მიმოდის ხეებზე და ჰტის ერთი შტოდან მეორეზე.



შ ი მ მ ა ნ ზ ე .



მაიმუნი მოგვაგონებს ადამიანს არა მარტო გარეგანი შეხედულებით, არამედ სხვადასხვა ჩვეულებითაც და ზოგჯერ ნიქიერებითაც. ადამიანისა არ იყოს, დიდროანი ჯიშის მაიმუნებსა სჩვევიათ ცხოვრება ცალ-ცალკე ოჯახებად, მხოლო ხანდახან მოიყრიან თავს ხროვად, პატარა ჯიშის მაიმუნები კი სულ ხროვად სცხოვრობენ. როდესაც საქმელსა სჭამს მაიმუნი, ხელს ისე ჰხმარობს, როგორც ადამიანი: აიღებს საქმელს ხელით, მიიტანს პირთან და ჩაიღებს პირში. დედა-მაიმუნი ხანდახან იმ სახით ატარებს ხოლმე თავის შვილს და ისე იხუტებს გულში, როგორც ადამიანი. დედა და მამა ორივე ძალიან სიყვარულით ეპყრობიან შვილს, ძალიან ეაღვრებიან, მაგრამ საზოგადოთ რაც შეეხება შვილზე ზრუნვას, დედა უფრო მეტად ჰზრუნავს, ვიდრე მამა. მავალითად, მაიმუნები რომ საზრდოს საშოვრად წავლენ ხოლმე დილით, მამას მარტო თავისთავი ახსოვს, სხვა არავინ და რასაც იშოვის, თითონა სჭამს, დედა კი ჯერ იმასა სცდილობს, რომ შვილს აჭამოს, გააძლოს იგი და მერმე თითონა სჭამს. მაგივრად მამა სხვა ვალდებულობას ასრულებს შვილებისადმი, უამისოდ ძალიან გაჭირვებული იქნებოდა მაიმუნების ცხოვრება. ღამ-ღამობით, როდესაც დედა მაიმუნსა და მის შვილსა სძინავთ ხეზე, მამა ხის ძირსა წევს და დარაჯობს თავის სახლობას, რომ მტერმა არაფერი ავნოს. გერმანიაში, ქალაქ შტურგარტში, ჰყავდათ სამხეცეში ერთი მაიმუნი, რომელიც თურმე ისე იცინოდა, როგორც ადამიანი. ეს მით არის შესანიშნავი, რომ არც ერთს სულდგმულს, გარდა ადამიანისა, არ შეუძლია ხმა მალლა გამოსთქვას თავისი სიამოვნება სიცილის სახით. ხელში რომ აიყვანდენ ამ მაიმუნს და აბაშტავებდენ—აისროლიდენ მალლისაკენ და ისევ დაიჭერდენ ხელით, მორთავდა სიცილს და ისე ხითხითობდა ისე, რომ ბოლო აღარ ჰქონდა.


დიდრონი ჯიშის მაიმუნები ზოგიერთები ბუნავს იკეთებენ ხეებზე, მაგრამ სადითხნო როდია მათი ბუნავი, რადგან იგინი ხანგრძლივ არა სცხოვრებენ ერთსა და იმავე ადგილს. საზრდოს ძებნაში რომ არიან, ამის გამო ხან ერთს ადგილას დაბინავდებიან და ხან მეორეს; სადაც შეხვდებათ ღამის გათევა, ბუნავსაც იქ გაიკეთებენ. საზრდოობენ მაიმუნები სხვა



და სხვა ნაყოფით, ხილით, მწერებით, ობობებით, ლოკოპილებით და ხელიკებით. ხშირათ ფრინველთა ბუდეებსაც ანადგურებენ ხოლმე, სჭამენ მათ კვერცხებსაცა და ბლარტებსაც.

ხროვად რომ სცხოვრებენ, იმ ჯიშის მაიმუნებს მიღებული აქვსთ ერთნაირი წესი საზოგადო ცხოვრებისა და ამ წესს ყველანი სასტიკად ემორჩილებიან. მაგალითად, მათა ჰყავთ საკუთარი ბელადი, რომელსაც ყველანი ენდობიან და ყველანი ძალიან უგონებენ. ბელადად არის ხოლმე უფრო ხნიერი, უფრო გამოცდილი მამალი მაიმუნი. იგი დარაჯია მთელი ჯოგისა. როდესაც მაიმუნები ხეხილს სადმე შეესევინან, შაქრის ლერწამს ან სიმინდს და საოცარ ზარალს აძლევენ მუშა კაცს მით, რომ ბევრსა სჭამენ და კიდევ უფრო მეტს ტყვილ-უბრალოდ ამტვრევენ და ჰყრიან ძირს, ამ დროს ბელადი დარაჯად უდგათ და როგორც კი მოჰკრავს ყურს ცოტაოდენ ხმაურობას ან დაინახავს რასმე საეჭვოს, მაშინვე დაიკვილებს და მთელი ხროვა თვალის დახამხამების უმაღლ გაეჭანება დაბურვილ ტყისაკენ და მიიძალემა. ხროვა რომ მიდის სადმე, ბელადი ყოველთვის წინ მიიძღვის და დანარჩენები მას კვალდაკვალ მიჰყვებიან. ბელადი რომ ერთი ხიდგან მეორეზე გადახტება, მაშინ მისი მიმყოფნიც იმ ხეზე გადახტებიან და, ასე გასინჯეთ, არა თუ იმ ხეზე, იმავე შტოზე უნდა გადახტენ, რომელზედაც ბელადი გადახტა. ასე ბეჯითად ასრულებენ ყველაფერს, რასაც ბელადი ჰმჯობა. როდესაც შესასვენებლად დალაგდებიან სადმე და სძინავთ, მაშინ, ბელადი ხის კენწეროზე ადის და იქიდან თვალ-ყურს ადევნებს გარშემო, რომ მტერი არ მიუახლოვდეს მის სამწყსოს. თუ რამ საშიში შენიშნა, იგი მაშინვე ხმით შეატყობინებს თავისიანებს. მაშინ უეცრად ამოძრავდება მთელი ხროვა, დიდი და პატარა, შეიქნება ფაცა-ფუცი, ერთი მეორის ძახილი, დედებისაგან შვილების ძებნა და სხვა. ერთს წამს მოიყრიან თავს, ბელადი წინ დაუდგებათ და ელვის სისწრაფით გასწევენ ტყისაკენ.

ძალიან საინტერესოა მაიმუნების ცქერა, როდესაც იგინი გამწარებულნი მიეშურებიან, რომ მიიძალნენ ტყეში. ხშირად იმისთანა ნახტომები უნდა გააკეთონ ერთი შტოდან




### ო რ ა ნ გ . უ ტ ა ნ ი .

მეორეზე, რომ გავაოცებთ მისი დანახვა, ამასობაში რომელიც უფრო სუსტი და უფრო მშიშარა არის, უკან ჩამორჩება ხოლმე სხვებს და ყოყმანშია კაი ხანს: არ იცის, გადახტეს თუ არა, ვერ ბედავს. მხოლოდ მაშინ გაბედავს, როდესაც დაინახავს, რომ ძალიან დაშორდა თავის აწიანაგებს. მაშინ კი აღარ იზოგავს თავს—გადახტება. ამ დროს ზოგიერთებს მოუსხლტებათ ხოლმე ხელები და მაღლიდან ძირს ბრავვანს მოადენენ, თუ როგორმე ხელი არ წააგდეს რომელსამე შტოს და ვერ შეიკავეს თავი. მოხდება ხოლმე ამ მოგზაურობის დროს, რომ დედა-მაიმუნი გადახტომას ვერ ჰბედავს, რადგან შვილი ყავს ზურგზე მოკოტრებული და ისე



შიხტის ან გულზე ჰყავს მიკრული. ამას რომ დაინახავს მისი მეუღლე, იგი დადგება იმ შტოზე, რომელზედაც დედა-მამამუნს უნდა გადახტომა, და აქანავებს შტოს წინ და უკან, რომ მიუახლოოს თავის მეუღლეს შტო და ხელი ატაცებინოს. თუ მაიმუნის შვილი მოლონიერებულია და შეუძლიან თითონ გადახტეს, მაშინ ჯერ დედა გადახტება, რომ დაანახოს მაგალითი და შემდგომ შვილი. რაც უნდა გასაჭირში იყოს შვილი, დედა მას თავს არ დაანებებს არაფრის გულისათვის, სიკვდილიც რომ მოელოდეს—მანაც.

ერთი მოგზაური საკვირველ ამბავს მოგვითხრობს იმისას, რამდენად თავგანწირულია დედა მაიმუნის შვილებისათვის. „ის იყო უნდა დავბრუნებულყავი იმ ადგილას, სადაც ჩემი ნავი მელოდებოდა, უეცრად ჰყვირილი მომესმა საოცარი. ეს იყო თოთო მაიმუნი, რომლის წაყვანა ველარ მოესწრო დედა მისს, როდესაც მონადირეებს თურმე დაუფთხა და გაიქცა. ერთი ინდოელთაგანი, რომელნიც მე მახლდენ, აცოცდა ხეზე, რომელზედაც იჯდა თოთო მაიმუნი, რომ დაეჭრა იგი. ეს რომ დაინახა პაწია მაიმუნმა, შიშისაგან ისეთნაირად დაიჯღავლა, რომ შეგეცოდებოდათ. ამ ჯღავილზე პასუხი მოსცა დედამ მახლობელი ხიდან. საბრალო დედამ რომ დაინახა, შვილი აღარ მიჰყვებოდა, იმ წუთსავე უკან დაბრუნდა, რომ წაყვანა იგი. სწორედ ამ დროს იყო, რომ მოესმა გაჭირვებული შვილის ხმა. თოთო მაიმუნი გამოეხმაურა დედას, მაგრამ ახლა სულ სხვანაირი კილო ჰქონდა მის ხმას. ამაზე დედამაც ხმა გასცა და იმანაც სხვა კილოზე. ერთის სიტყვით დედა და შვილი ერთმანეთს გამოელაპარაკენ მაიმუნურს ენაზე. ამ დროს იგრი-ალა წყეული ინდიელის თოფმა და დედა-მაიმუნი დაიჭრა ტყვით. დაკოდილმა ისკუბა და გადახტა, რომ გაქცეულიყო, მაგრამ ამ დროს კიდევ მოესმა ტირილ-ჰყვირილი შვილისა და მობრუნდა. უეცრად კიდევ გავარდა თოფი, მაგრამ ეს ტყვია ასცილდა მაიმუნს. თოფმა ვერ შეაშინა გამწარებული დედა; იგი გადმოხტა შტოზე, რომელზედაც შვილი იჯდა, მოჰკიდა ხელი, შეისვა ზურგზე და ის იყო უნდა გადამხტარიყო და გაქცეულიყო, რომ საქაგლმა ინდიელმა (არაფერი გაიგონა ჩემი) მესამეჯერ ესროლა თოფი და დასჭრა იგი სასიკვდილოთ. საბრალო დედამ ეს მეორე ჰრილობა მიიღო შვილის



გულისათვის. მიუხედავად ამისა შვილს მაინც არ ეზოკებდა გულში ჩაეკრა და უნდოდა იმიანად გაქცეულიყო, მაგრამ ღონე აღარ ჰქონდა. გადმოვარდა ის უბედური ხიდან და დეცა მიწაზე“...

მაიმუნმა იცის თითო შვილის ყოლა. საძაგელი რამ სანახავი კია ახლად დაბადებული მაიმუნი! ასე გგონია ხელეები ერთი ორათ უფრო გრძელი აქვსო, ვიდრე მთავარ მაიმუნს. პირის სახე დაქმუჭვნილი აქვს, რომელიც უფრო მონუცებულის სახესა ჰგავს, ვიდრე ბავშვისას. მაგრამ დედას მაინც გასაოცრად უყვარს თავისი მახინჯი შვილი. თითო მაიმუნი მალე ეჩვევა დედის მკერდზე დაკიდებას. წინა ხელებს კისერზე შემოხვევს, უკანა ხელებს ტანზე და დაჰყვება მას ამ სახით დაკიდებული. დედა მიმოდის, ხის ერთი შტოდან მეორეზე გადახტება ხოლმე და ამ დროს შვილი მკერდზე ჰკიდია, რომელიც სრულიადაც არ უშლის მოძრაობას. შვილს რა უშავს? იგი მაგრად მიჰკვრია მკერდზე საყვარელს დედას და არის თავისთვის ლამაზად. ძუძუც იქა აქვს, რომ მოსწოვოს, როდესაც მოშივდება, მეტი რაღა უნდა! ცოტად რომ წამოიზრდება პაწია მაიმუნი, მერმე ზურგზედაც შეახტება ხოლმე დედა მისს, ასე იცის, როდესაც შეაშინებს რამ ან ვინმე. დედა უვლის შვილს, სანამ იგი პატარაა და უძლური: ხან ჰლოკავს, რომ გაასუფთაოს, ხან ტანს უხილავს, რომ მკბენარი მოაშოროს; ხან ჩაიხუტებს გულში, ხან ხელში აიყვანს მალლა და უცქერის, რომ დასტკბეს მისი მზერითა; ხან გულზე მიიკრავს და არწევს იქით-აქეთ, თითქო უნდა დააძინოსო.

გაივლის დრო მაიმუნის შვილი უფრო წამოიზრდება. მაშინ ცოტა თავისუფლება მიეცემა დედისაგან: ნება ეძლევა ითამაშოს სხვა მაიმუნის შვილებთან და იცელოქოს. მაგრამ დედა ამ დროს თვალს არ აშორებს თავის შვილს. თუ არ მოეწონა იმისი საქციელი, რაღაცას ეტყვის მას თავისებურად და, თუ არ გაუგონა, მაშინვე დასჯის: ან უჩქმეტს, ან კაიკაი პანდურს მიაყოლებს, ან და სილას გაართყამს. მაგრამ მართალი უნდა ვსთქვათ, რომ პატარა მაიმუნები ძალიან უჯერებენ თავის დედას. ნეტავი ბევრი ადამიანის შვილი იყოს იმდენად გამგონე მშობლებისა, როგორც პაწია მაიმუ-



ნებია? ერთს რო უბძანებს დედა, შვილი იმ წუთსავე აასრულებს მის ბძანებას. როდესაც ჯერ კიდევ პატარაა მაიმუნის შვილი და არაფერი იცის, მაშინ დედაა მისი მასწავლებელი. იგი ასწავლის მას ხეზე ასვლა-ჩამოსვლას, ლიანებზე აცოცება-ჩამოცოცებას; ასწავლის, კუდით როგორ უნდა დაეკიდოს შტოზე, როგორ უნდა გაქან-გამოქანდეს კუდით დაკიდებული და ხელები როგორ უნდა სტაცოს მოშორებულ შტოს; მიჰყავს იგი ტყეში სხვადასხვა ადგილს, რომ უჩვენოს, სად უფრო ტკბილი ხილი იცის, როგორ უნდა მოკრეფა თხილს, როგორ უნდა გასტეხოს იგი, გული როგორ უნდა ამოაცალოს და სხვა.

თუ ვინცობაა დაობლდა თოთო მაიმუნი მაშინ ერთ-ერთი სხვა მაიმუნი იმავე ხროვისა აიყვანს მას გასაზრდელად და უვლის. ამას გარდა დანარჩენი მაიმუნებიც კარგად ეპყრობიან ნაშვილევ მაიმუნს, ეფერებიან უფროთხილდებიან, რომ არაფერი მოეწიოს.

ყურადღების ღირსია მაიმუნების ჩვეულება, რომელიც მით გამოიხატება, რომ იგინი ზრუნავენ ხოლმე თავის ამხანაგებისათვის. ამ მხრით სწორედ იმისთანა გრძნობას იჩენენ ერთი მეორისადმი, როგორც კეთილი ადამიანები. როდესაც მტერს გაურბიან მაიმუნები, საიმედო ადგილას რომ მოახწევენ, მაშინ დაბანაკდებიან და ერთმანეთის გაშინჯვას შეუდგებიან, რომ შეიტყონ, ხომ არაფერი უტკენიათ. სახიფათო მოგზაურობას შემდეგ ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე რამდენიმე მაიმუნი, რომელთაც ნატკენი აქვსთ რამე: ან ხიწვი შესობიათ ხელებში ან მტერს დაუჭრია და დაშავებულა. ვისაც უპოვიან ხიწვს, უეჭველად ამოაცლიან და, თუ დაკოდილია რომელიმე, ჭრილობას ულოკავენ, რომ გამოამრთელონ: საზოგადოთ მაიმუნებს ძალიან ებრალებათ ავადმყოფი ამხანაგები და ამგვარად უვლიან მათ, როგორც ჩვენ ვუვლით ჩვენს ავადმყოფებს.

მაიმუნების გონიერებაზე ბევრს რასმე ამბობენ. მაგალითი ყოფილა, რომ მაიმუნს, რომელიც ტყიდან მოუყვანიათ დაჭერილი მოსაშინაურებლათ, ბევრი რამე გადაუღია ადამიანისაგან. იგი თურმე სასადილო მაგიდას მიუჯდებოდა ერთად ადამიანებთან, აიღებდა კოვზს და კოვზით საჭმელსა




სკამდა; ეტყოდენ ჭურჭელი რამ მოეტანა სუფრისათვის, ისიც მაშინვე მოართმევდა მას, ვინც დაასაქმა. ერთი მაიმუნითურმე ბუხარში ცეცხლს უნთებდა თავის პატრონს და თან თვალ-ყურს ადევნებდა, ნაკვერჩხალი არ გადმოვარდეს ბუხრიდან და იატაკს ცეცხლი არ გაუჩნდესო. ერთს კაცს ჰყოლია მაიმუნი, რომელიც თურმე ფრინველებს უწყესავდა. ერთის სიტყვით მაიმუნსა აქვს ნიჭი ბევრი რამ ისწავლოს და გააკეთოს ადამიანსავით. ეს არის რომ ტყეობაში დიდ ხანს ვერა სძლებს (შეიძლება გასძლოს რამდენსამე თვეს ან ერთ-ორ წელიწადს), მალე კვდება. მუდამ მწვანით შემოსილი ტყე და ველი და თავისუფლად ნავარდი ხის შტოებზე იმისთანა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მისთვის, როგორც ჰაერი. ადამიანსაც ასე სჩაგრავს და ასწავლებს თავისუფლების წართმევა. ჯერ კიდევ არ იციან კარგად მეცნიერებმა, რამდენს ხანს იზრდება მაიმუნი, პატარა ჯიშის მაიმუნები სამოთხს წელს უნდა იზრდებოდენ, ხოლო უფრო დიდრონი ჯიშისა — რვა წელიწადს — თორმეტს. თავისუფალი მაიმუნი, რომელიც თავის ნებაზე დანავარდობს ბუნების წიაღში, დიდს ხანს ცოცხლობს, ამბობენ მაგალითი ყოფილა, რომ დიდრონი ჯიშის მაიმუნს ორმოც წლამდის ეცოცხლოსო.

მაიმუნი მშვიდი ცხოველია და თითონ უმიზეზოდ არას ერჩის ადამიანს, მაგრამ ადამიანი თუ გამოუღდა უკან და მოუნდომა დაჭერა ან დასჭრა იგი, მაშინ მოთმინებიდან გამოვა და გაბრაზებული დაეტაკება მას. გაბრაზებულ მაიმუნთან კი ძნელია ბრძოლა.



არის ერთგვარი მაიმუნი, რომელსაც პავიანს ეძახიან. მასვე ეძახიან ძალღ თაგვ მაიმუნს, რადგან თავის მოყვანილობა მისი უფრო მოგვაგონებს ტლანქი და უშნო ძაღლის თავსა, ვიდრე ადამიანისას. ძალღთაგე მაიმუნებსა სჩვევიათ ცხოვრება ქვაკლდიან ადგილებში და ძალიანაც ემარჯვებათ კლდეებზე ასვლა-ჩამოსვლა. საზრდოსაც იქ ჰპოულობენ ქვებს ქვეშ: სხვა და სხვა მწერებს, ობობებს, ხელიკებს და სხვა წვრილ ცხოველებს. პავიანი ძა-



ლიან გულადი ცხოველია, მას არ ეშინია არც ადამიანისა და არც მძლავრი ნადირისა, და თუ საჭიროებამ მოიტანა, არ დაერიდება მათთან ბრძოლას. თუმცა ავი გულის არის ეს მაიმუნი, მაგრამ თითონ უმიზეზოდ მინც არაფის დაეტაკება.

ერთხელ პავიანებს ძაღლები მიუსიეს. მაიმუნები მაშინვე კლდეზე ავარდნენ. თავს უშველეს უკვე, ძაღლები ვეღარას დააკლებდნენ, მაგრამ ამ დროს მოესმა ბელადს ქყვირილი ახალგაზდა მაიმუნისა, რომელიც ხროვას უკან ჩამორჩა, რადგან ეერ შესძლო მათთან ერთად გაქცევა. საწყალს გარს შემოეხვივნენ ძაღლები და გაცხარებით უყეფდნენ. ბელადი იმ წუთსავე შესდგა და რალაც გამამხნევებელი ხმა მისცა შეშინებულს პატარა მაიმუნსა, ეტყობოდა დაუძახა—ნუ გეშინია, მოედივარო. მერმე დინჯად, ნელ-ნელა ჩამოვიდა კლდიდან ძირს და მივიდა პაწია ძაღლთავასთან. მრისხანე გამომეტყველება ჰქონდა სახისა. ერთმა მისმა დანახვამ ისე შეაშინა ძაღლები, რომ მაშინვე უკან დაიხიეს. ბელადმა მოავლო ხელი ბავშვ-მაიმუნს, შეისვა ზურგზე და წყნარად, თითქო აქ არაფერი ამბავიაო, წავიდა თავის ხროვასთან, რომელიც ელოდებოდა მას კლდეზე.

მაიმუნები სცხოვრებენ ამჟამად აზიის და ამერიკის ცხელ ქვეყნებში და აფრიკაში. ძველად კი, უხსოვარს დროს, თურმე უფრო ბევრს ადგილს შეხვდებოდა მათ ადამიანი, ვიდრე ახლა. საფიქრებელია, რომ იმ დროს საქართველოშიაც ყოფილან ან და ქართველს ხალხს შთამომავლობით შეარჩენია მაიმუნის წარმოდგენა, როგორც ტყის კაცისა, ქაჯისა. მდაბიო ხალხსა სწამს, ტყეში ქაჯეზიო, და ისე ასწერენ ქაჯს, რომ ადამიანის მსგავსება აქვს, მხოლოდ ულამაზოა და საშიში შესახედავია; მხარ-ბეჭი აქვს სრული, ტანზე ბანჯგვლიანია და უფრო ძალუშია ადამიანზეო. ეს წარმოდგენა შეიძლება ნაშთი იყოს იმ დროისა, როდესაც ჩვენ წინაპართ ქვეყანაში ჰბუდობდნენ ადამიანის მსგავსი მაიმუნები **ორანგუტანი** და **გიბონი**, რომელნიც ახლა აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში სცხოვრებენ ან **შიმპანზე** და **გორილა**, აფრიკაში რომ არიან.—

ალექსი ჭაჭინაძე.

## დავით კოჭერდი.

ჩაჩუხ ღიკენსის მათხრობა.



ხელი ნაბიჯით მოვშორდი სკოლას და ღუერის გზას ვაგუდექი. თუმც ფეხით საარულს მიჩვეული არ ვიყავ, მაინც ამ დღეს ოცდასამი მილი გავიარე. ვახშმათ პულის ნატეხი ვიყდე. რადგან იმედი არ მქონდა ღამე საღმე ჭერის ქვეშ გამეცარებინა, გადავწყვიტე ღამე ისევ რომელიმე ხეს ქვეშ გამეთათია. როგორც იყო მივაწიე ჩატამს. ქალაქის შესავალში ჩამწყკრივებული ზარბაზნების ქვეშ ერთ აღაგას მივწყექი. ამ ღამეს ცუდათ მეძინა და დილა ადრიან საყვირის ხნამ გამომადგოდა. ჩემი ბინიდან გამოვძვერ და ვიწრო ქუჩაში შეუხვიე. ძალიან სუსტათ და ცუდათ ვგრძნობდი თავს. მოგზაურობას ცარიელი მუცლით ვეღარ შეეძლებდი და გადავწყვიტე ზემო ჩასაცმელი (კურტკა) გამეყიდა. მე გავიხადე, მინდოდა მენახა როგორ გიქნებოდი პერანგის ამარა, ამოვიდე იღლიის ქვეშ კურტკა და დავიწყე ქალაქში ხეტიალი იმისთანა დუქანის საძებნელათ. საცა შემეძლო გამეყიდა კურტკა. ბოლოს ერთ ქუჩკიან აშშორებულ ქუჩის კუთხეში ვიპოვენე მაგისთანა დუქანი. დაღონებული ჩავეშვი კიბით ამ დაბალ და ვიწრო დუქანში, რომლის ერთად ერთი ფანჯარა ძველ ტანისამოსით იყო ჩამოფარებული. მე სულ ავირიე როცა დავინახე, როგორ გამოვარდა მეორე ოთახიდან საშინელი სახის მოხუცებული და მტაცა თმაში ხელი. მის სახე გავანცვიფრებდათ თავის სიმახინჯით. ტანთ ეცვა ძველი გაქონილი და ცხარე სასმელებით გაჟღენთალი ფუფაიკა.

— შენ ეი, რა გინდა! მითხრა მან ჩახრინწული ხმით. ოჰ! ჩემო თვალეზო, ჩემო სხეულო, ჩემო ღვიძლ-ფილტვებო! რა გინდა?

მე ისე გამაკვირვა მოხუცის ყვირილმა, რომ სულ დავიბენი. ის მწვედა თმებსა და იმეორებდა.

— რა გინდა? ოჰ ჩემო თვალეზო! ჩემო ღვიძლ-ფილტვებო...რა გინდა? ბრ...


ის ისეთი ძალით ყვიროდა, რომ თვალები თითქო  
ეს არის გადმოუცვინდებო.

— მოვედი საკითხავათ, ვუბასუხე თრთოლვით—ხომ არ  
ინებებთ ამ კურტკის ყიდვას?

— ოჰ! ოჰ! მაჩვენე, ყვიროდა მოხუცი, — ოჰ! ოჰ! ჩემო  
ცეცხლ მოკიდებულო გულო! მაჩვენე კურტკა! ოჰ! ოჰ! ჩე-  
მო თვალებო და ჩემო სხეულო... ამოიღე ჩქარა შენი კურტკა.

ესა სთქვა, ჩემს თმებს თავი მიანება და სათვალეები გაიკეთა.

— ოჰ! ოჰ! რა მოგცე კურტკაში? დაიყვირა მოხუცმა  
და თან კურტკასა სინჯავდა... ოჰ! ოჰ! ბრრ... რა მოგცე?



— ოცდაათი პენსი, ვუბასუხე, როცა ცოტა გონება მო-  
ვიკრიფე.

— ოჰ! ოჰ! ჩემო ღვიძლ-ფილტვებო! არ-რა ოჰ! ოჰ!  
ჩემო თვალებო! არა თვრამეტი პენსი! ბრრ...

— კარგი, ვუთხარი, რომ ბოლო მომეღო ლაპარაკისთვის  
თანახმა ვარ.

— ოჰ! ოჰ! ჩემო გულ-ღვიძლო... წამოიყვირა ისევ მოხუც-  
მა და კურტკა იატაკზე გადააგდო — გასწი დაიკარგე ღუქნი-  
დან. ოჰ! ოჰ! ჩემო ფილტვებო!.. დაიკარგე აქედან! ოჰ, ოჰ,  
ჩემო თვალებო და სხეულო! ბრ! ბრრ! ფულს ნუ მოჰხოვ  
ისევ გამოგიცვლი რაზედმე.

ჩემ სიცოცხლეში არა ვყოფილვარ ისე შეშინებული არც  
წინეთ და არც მერე. მე ვუთხარი, რომ არაფერში არ გაუ-  
ცვლი, რადგან ფული მჭირია. მოხუცმა რამდენჯერმე შემთა-



ვაზა სხვა და სხვა რამეები: ხან ანკესი მომიტანა, ხან სკრინი, ხან საშავი, ხან სამკუთხიანი ქული, ხან სალამური—იქნება გამიცვალოსო, მაგრამ მე მაგრათ ვიყავი და ადგილიდან არ ვიძროდი. როცა კი მომიახლოვდებოდა თვალ ცრემლიანი ვეხვეწებოდი ან ფული მომეცი მეთქი ან კურტკა. ბოლოს გადასწყვიტა ფულის მოცემა და ნახევარ ნახევარ პენსად მაძლევდა ასე, რომ ფული სრულიად ორი საათის შემდეგ მივიღე.

— ოჰ, ოჰ, ჩემო თვალეზო და სხეულო! დაიყვინძო დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ—გეყოფა კიდევ ორი პენსი?

— არ შემიძლიან, ვუთხარი, შიმშილით მოვკვდები.

— წახვალ, კიდევ სამი პენსი რომ მოგცე?

— ისედაც წავიდოდი, რომ შემეძლოს, ვუთხარი,— მაგრამ ფული ძალიან მიჭირს.

— ოჰ, ოჰ! ბრა! რა გეყო; აჰა ოთხი პენსი და გასწიდაიკარგე.

ისე დავსუსტი და დავილაღე, რომ გადავწყვიტე ოთხ პენსზე დავთანხმებოდი. სამ პენსად ისე გავძეხი, რომ მოგზაურობის გაგრძელება შემეძლო. ამ დღეს შვიდი მილი გავიარე.

ერთ თივის ბულულის ქვეშ ლამაზად მოვეწყე და ღამეც იქ გავატარი, მერე ფეხები დავიბანე რუში და ფოთლებში შევიხვიე. დილა აღრია ან ისე გზას გაუდექი. მარჯვნივ და მარცხნივ ხეილის ბაღები და ბოსტნები მხვდებოდა. შემოდგომა დგებოდა და მწიფე ხილი მადის საღერდელს მიშლიდა. ამ დღეს გზაში ბევრი საეჭვო შეხედულობის ხალხი მხვდებოდნ და, როცა გავიქცევოდი ქვებს მომაყოლებდნ ხოლმე.

კარგა მახსოვს ერთი ვაჭბატონი, ალბად მჭედელი, რადგანაც სინი და ტყავის საბერველი ეჭირა. გვერდით დედაკაცი მისდევდა. მჭედელმა როგორღაც უცნაურად შემომხედა, თავიდან ფეხებამდე ამათვალ-ჩამათვალეირა და მრისხანედ დამიყვინძო გავჩერებულიყავი. მის ხმაზე თრთოლამ ამიტანა და უნებლიედ უკან მივიხვიე.

— აქ მოდი, როცა გიბრძანებენ, მითხრა მჭედელმა, თორემ ახლავე ვიგებეგვა.

მე მივბრუნდი, როცა მივჯახლოვდი შევნიშნე, რომ მის თანამგზავრს ერთი თვალი ჩალურჯებული ჰქონდა.



— სად მიდიხარ? მკითხა მჭედელმა და თავის გამორეული გაშავებული ხელი საყელოში წამავლო.

— დუვრს მივდივარ, ვუპასუხე.

— სადაური ხარ? მკითხა ისევ.

— ლონდონელი.

— ალბად ჯიბგირი იქნები.

— არა— ვუპასუხე.

— პატიოსნობით ნუ მოგაქვს თავი, თორემ მე შენ გიჩვენებ სეირს, ჭკუას გასწავლი. ერთი ჭიქა ლუდისთვის გექნება ფული? მომეცი თორემ ძალით წაგართმევ. ის იყო ფულის მიცემას ვაპირებდი როცა შევნიშნე, რომ ქალი მანიშნებდა ფულს ნუ გამოაჩენო.

— ლატაკი ვარ, ვუპასუხე და ვცდილობდი გამეღიმა, — ფული საიდან მქნება.

— ჰა! რას ამბობ? მითხრა მჭედელმა და ისე საშინლად შემომხედა, თითქო ჯიბეში ფული დანახაო.

— ბატონო— წავიბუტბუტე.

— ეს რაღა ამბავია, რომ კისერზე ჩემი ძმის აბრეშუმის ხელსახოცია განხვევია, მომეცი აქ ჩქარა.

ერთ წუთას ჩამომგლიჯა ყელსახვევი და დედაკაცს გადუგლო.

დედაკაცმა ხმამაღლა გადინარხარა, ვითომც ხუმრობაო, ყელსახვევი გადმომიგდო და თან მანიშნებდა ჩქარა მოვცილებოდი მათ. მაგრამ ვიდრე ავასრულებდი მას, მჭედელმა ისე უკმებად ჩამომგლიჯა ყელსახვევი, რომ ფეხებზე ვერ დავდექი, რამდენსამე ნაბიჯზე გადავარდი და დედამიწაზე გავიშხლართე. ამ დროს კი მჭედელმა ჩემი ყელსახვევი თითონ მოიხვია.

ამ შემთხვევამ ისე შემაშინა, რომ მოგზაურს დავინახავდი თუ არა მაშინათვე გზას ვუხვევდი და ვიმალებოდი, რითიც გზა შესამჩნევათ გრძელდებოდა.

როცა ბოლოს დუვრს მივადწიე მთელი დღე ძებნას და გამოკითხვას მოვუზღი— ფული მთლად შემომხეხარჯა, ვასაყიდი არა მქონდარა, მე კი ძალზე მშოიოდა და დაღალულიც ვიყავ. იმედ გაწყვეტილი დუქანთან ჩამოვჯექი. ამ დროს ეტილი მიდიოდა. მეეტლეს შოლტი ჩამოუვარდა. მე დავსწვდი.



შოლტს და მეეტლეს მივაწოდე. მეეტლეს კეთილმა სახემ გა-  
მაბედვინა მეკითხა მისთვის ქ-ნ ტროტკულის ვინაობა.

— ტროტკული? მითხრა მეეტლემ—მოიცა, მგონია გამი-  
გონია ევ სახელი. მოხუცი მანდილოსანია?

— დიახ, ვუთხარი,—ალბათ ის არის.

— დიდი აზვა უჭირავს ხელში? დამეკითხა ისევ, სახე  
მოლუშული აქვს და ნაწყვეტ ნაწყვეტად ლაპარაკობს.

სიხარულით გული ამიფანცქალდა: მეეტლის აღწერა  
ეთანხმებოდა პეგოტის აღწერას.

— მაშ, აი რას გეტყვი, განაგრძო მეეტლემ ამ გზას დაა-  
დექი და იარე, მანამ ზღვის პირს არ მიხვალ და მერე იქ  
იკითხე იმის სახლი. მაგრამ არა მგონია შენ იმას რამე გა-  
მორჩე და ამიტომ ავა ეს ერთი პენსი.

მე მადლობით გამოვართვი ფული და გავეშურე პურის  
საყიდლათ. მოვიკალი თუ არა შიმშილი მე გავემართე მეეტ-  
ლის ნაჩვენებ გზით და დიდი ხნის სიარულის შემდეგ მივე-  
დი ზღვის პირას. ერთს დუქანს მივუახლოვდი და ვიკითხე:—  
ხომ არ იცით სადა ცხოვრობს ქ-ნი ტროტკული? ამ კითხვით  
მე მივმართე დახლის უკან მდგომ კაცს, რომელიც ბრინჯს  
უწონიდა ახალგაზრდა ქალს. ქალს ეგონა, რომ იმას ვეკით-  
ხები და სწრაფად მომიბრუნდა.

— ჩემი ქალბატონი? მითხრა,—რათ გინდა ყმაწვილო!

— მინდა, მოველაპარაკო—ვუპასუხე—საქმე მაქვს.

— რამე უნდა სთხოვოთ? მკვახეთ მკითხა მან.

— არა! ვუპასუხე—სრულიად არა.

დიდიდედას მოსამსახურემ, ვაჭრობა რომ გაათავა დუქ-  
ნიდან გავიდა და მითხრა გავყოლიყავი რომ ეჩვენებინა სა-  
და დგას ქ-ნი ტროტკული, თუმცა იმ წუთას ისე ვიყავ ადელ-  
ვებული, რომ ფოთოლივით ვფრთოდი, მაგრამ მაინც გავყევი  
მოსამსახურეს და ჩვენ მალე მივუახლოვდით პატარა, ლამაზ  
სახლს, თაღებიან ფანჯრებით. სახლის წინ ყვავილებით სავსე  
პატარა მინდორი იყო ვადაშლილი.

— აი ქ-ნი ტროტკულის სახლი. მითხრა მოსამსახურემ  
და ამ სიტყვებით სახლის კარებში შევიდა, ამითი მას უნდა  
მოეშორებინა პასუხის გება ჩემ მოყვანაში.

მე გარეთ დავრჩი და დავიწყე ფანჯარაში ცქერა.



ჩემი ფეხსაცმელები მაშინ სამწუხარო მდგომარეობაში იყვნენ. ტყავი ისე იყო დახეთქილი, რომ ძლივს ლა ვათრევდი ფეხებზე. ქუდი, რომელსაც გზაში ვიხურავდი და ღამე თავ ქვეშ ამოვიდებდი ხოლმე იქამდე დაიჭმუტუნა და გაცვდა, რომ რაღაც დამტვრეულ თუნუქის ქვაბს წააგავდა. პერანგი და შარვალი გარდა იმისა, რომ ტალახში ამოსვრილი იყო სულ მთლათ დაფხრეწილი მქონდა. ჩემ თმას რაც ლონდონიდან გამოველ, სავარცხელი არ მიჰკარებია. პირისახე, კისერი და ხელები სულ მუდამ ქარში ყოფნით დახეთქილი მქონდა და ყაყაჩოსავით გამწითლებოდა. გარდა ამისა თავიდან ფეხებამდე ისეთ მტვერში ვიყავ ამოსვრილი, თითქო საკირიდან ამოვძვერიო. ამ სამწუხარო სახით უნდა წავმდგარიყავი მრისხანე დიდედის წინაშე და ახლა იმას ვფიქრობდი, თუ რა შთაბეჭდილებას მოვახდენდი იმაზე.

სასტუმრო ოთახში გამეფებულმა სიჩუმემ ის დასკვნა გამომაყვანინა, რომ დიდედა იქ არ იყო, მე მეორე სართულში ავიხედე და იქ ფანჯარაში სასიამოვნო სახის კაცი დავინახე. იმან ერთი თვალი მოჭუტა, ღრეჭით თავი დამიქნია და სიცილით მოშორდა ფანჯარას.

მე ისეც აღელვებული და შეწუხებული ვიყავ და ამ კაცის დანახვამ ხომ ისე ამადელვა, რომ მზათ ვიყავ გავქცეულიყავ. უტბათ სახლის კარებიდან თავშალ წაკრული მანდილოსანი გამოვიდა, ხელებზე თითებ მოჭრილი ხელთათმანები



ეცვა, ხელში პატარა აბგა და საბალო დანა ეჭირა. იმ წამსვე მივხვდი, რომ ეს თვით ქ-ნი ბეტსი იყო, მე დედაჩემის მიერ რამდენჯერმე აღწერით სიარულზე ვიცანი.

— გასწი, დაიკარგე, დამიყვირა ქ ნმა ბეტსიმ და დანა დამიქნია. — აქ შენი ადგილი არ არის.

აცახცახებული ვუსურბდი მას. ის შევიდა ბაღში, დაი-



კუზა და რიდაცის ძირი ამოკვლიჯა. მე უკანასკნელი ძალა შევიკრიბე, შეველ ბაღში, მივუახლოვდი დიდდედას და გაუბე-  
დავთ შევეხე ხელით.

— ქ-ნო, ვუთხარი

დიდდა შეხტა და სწრაფათ მომიბრუნდა.

— დიდდა, დიდდა!

— რაო! დაიყვირა დიდდამ.

— დიდდა, მე თქვენი შვილი-შვილი ვარ.

— ღმერთო შემიწყალე, წარმოსთქვა დიდდამ და ბი-  
ლიკზე დაეშვა.


— მე დავით კოფერფილდი ვარ, ბლნოდერსტონიდან, საცა თქვენ, გახსოვთ ერთხელ ჩამოხვედით, სწორეთ იმ დღეს რა დღესაც მე დავიბადე. მაშინ თქვენ ჩემი საყვარელი დედა ნახეთ. ბევრი ტანჯვა გამოვიარე რაც დედა მომიკვდა. მე ყურს არაფერს მიგდებდა, არ მასწავლიდენ, ყველამ თავი დამა-  
ნება, ბოლოს ღვთის ანაბარათ დამაგდეს. მე ისეთი სამუშაო მომცეს, რომელიც მეზიზღებოდა, ყველა ამან მაიძულა თქვენ-  
თან გამოვქცეულიყავი. გზაში რაც კი რამ მებადა, ყველაფე-  
რი მომპარეს. ფეხით მოველ და კარგა ხანია ხეირიანი საწო-  
ლი არ მინახავს.

გავათავე თუ არა ჩემი სიტყვა, ძალ-ღონე დაკარგულმა მივეუთითე ჩემ ტანისამოსზე, თითქო მოწამეზე ყველა ჩემ ნალა-  
პარაკევისა. მეტი ვეღარ შევეძელი და ავკვითინდი. ერთი კვირა ცრემლები მახრჩობდნენ და ეხლა ნიაღვარსავით გადმოხეთქეს.

დიდდაჩემის სახეზე გაკვირვების გარდა, ყველა გრძნობას აღმოიკითხავდით. მიწაზე იჯდა და თვალს არ მაშორებდა, მანამ ტირილი არ დავიწყე. მაშინ წამოხტა, მომხვია ხელი და სასტუმრო ოთახში შემიყვანა. უპირველესად ყოვლისა დიდი შკაფი გამოაღო, გადმოიღო რამდენიმე შუშა და ყოველ შუშიდან ცოტ-ცოტა დამალევიანა. აღბად რაც მოხვდებოდა იმას მაძლედა, რადგან აქ არაყიც ვიგემე და სალათისათვის მომზადებული წვენიც. ამ რიგად ცოტა მოვლონიერდი, მაგ-  
რამ რა ნახა, რომ ისევ ისე ვტიროდი. ტანტზე დამაწვინა, თავით შალი ამომიდო და ფეხითთ კი თავსახვევი, რომ ფეხე-  
ბით არ გამეთხუზნა საფენი. ამის შემდეგ ზარი დააწკარუნა.

— ჟანეტა, უთხრა მოსულ მოსამსახურეს—ხევით ადი და ბ-ნ დიკს სთხოვე აქ ჩამოვიდეს. უთხარი, რომ უნდა მო-  
ველაპარაკო.

ჟანეტამ ცოტა არ იყოს გაკვირვებით შემომხედა და ოთახიდან გავიდა. დიდდამ კი ხელები უკან დაიწყო და ბო-  
ლთასა სცემდა ოთახში, მანამ არ შემოვიდა ღიმილით ტუ-



ჩებზე ის კაცი, რომელიც მეორე სართულის ფანჯარაში დაინახე.

— ბ-ნო დიკ, უთხრა დიდდამ — ტყუილათ ნუ ისულებთ თავს, რადგან მე კარგათ ვიცი, რომ ჭკვიანი კაცი ბრძანდები.

კაცმა უცბად სერიოზული გამომეტყველება მიიღო და ისე შემომხედა, თითქოს მანიშნებდა არ გავამხილო, რომ ის ფანჯარასთან ვნახე.

— ბ-ნო დიკ, ჩემგან გაგიგონიათ როდისმე დავით კოპერფილდზე? ჰკითხა დიდდამ.

— დავით კოპერფილდზე, გაიმეორა ბ-ნმა დიკმა და თან ცდილობდა რალაცის მოგონებას.

— ჰო, მაშ, რასმკვირველია.

— ეს იმის შვილია! ეხლა გეკითხებით რა ვუყო ამას. გადაჭრილ პასუხსა გაზოვთ.

— თქვენ ადგილას რომ ვყოფილიყავი, უთხრა ბ-ნ დიკმა და გადმომხედა, — მე .. გავბანდი.

— ჟანეტა, დაუყვირა დიდდამ, უბრძანე ვანა მოამზადონ.

ამ ლაპარაკის დროს მე გულდასმით ვსინჯავდი დიდედას. მაღალი ტანისა იყო. შეხედულება მკაცრი, მაგრამ სასიამოვნო ჰქონდა. მის ყველა საქციელს გაბედულობა ეტყობოდა. მისი ფართო ლაყვარდი ფერის კაბა მოძრაობას არ უშლიდა.

ბ-ნი დიკი სრულ ჭკუნის მყოფელს არა ჰგავდა, რაშიაც შემდეგში დავრწმუნდი. ტანთ კარგა ეცვა, საათიც ჰქონდა. ჯიბეში წვრილი ფული ეყარა და წამდაუნწუმ აჩხარუნებდა მათ. ოთახი, საცა ჩვენ ვამყოფებოდით, ისეთი დალაგებული და სუფთა იყო, როგორც თვით პატრონი.

გავიდა თუ არა ჟანეტა დიდედის ბრძანების აღსასრულებლად, უცბათ დიდდამ მრისხანე სახე მიიღო და ისე აენთო, რომ უხმო მღელვარებისაგან ძლივსლა წამოიძახა:

— ჟანეტა! ვირები!

ჟანეტა კიბიდან დაეშვა, თითქო სახლი იწვისო, გავარდა მინდორზე და გაიყვანა ორი შეკმაზული ვირი, მათზე მჯდომარე ქალებით, დიდდამ კი წააფლო ხელი მესამე ვირს, რომელზედაც ყმაწვილი იჯდა, მოაბრუნა და თავის სამფლობელოს საზღვარზე გაიყვანა, გზა და გზა ცხენოსანს რამდენჯერმე წაუთაქა.

არ ვიცოდი, ეკუთვნოდა ეს მინდორი დეიდას თუ არა, მგონია თითონ დეიდამაც არ იცოდა ეს ხეირიანად, მაინც დიდ შეურაცხყოფად მიიჩნდა, როდესაც რომელიმე ვირი გაივლიდა



მის მინდორზე. რაც უნდა საქმეში ყოფილიყო ვართულო, დაინახავდა თუ არა ვირსა, ყველაფერს თავს ანებებდა და მისკენ ვარბოდა. ამისათვის საგანგებოდ კარებს უკან ჯოხები ჰქონდა დალაგებული. ვირებთან შეტაკება რამდენჯერმე მოხდებოდა ხოლმე დღეში და დიდდას თითქმის განუწყვეტელი ომი ჰქონდა იმათ თან. მანამ ვანნას მომიზადებდნენ ვირების შემოსევა სამჯერ გამეორდა.

ვანნამ ძალიან გამაღონიერა. ჩემ უცნაურ მოგზაურობის დროს ღამე ცის ქვეშ ძალიან დავსუსტი და დავიღალეს. სისუსტისაგან თვალეზი მეზლიტებოდა. ვანნის შემდეგ დიდდამ და ჟანეტამ ბ-ნ დიკის ჰერანგი და შალვარი ჩამაცვეს და ორი თუ სამი შალი მომახვიეს. გავთბი და ძალიანაც მეძინებოდა. ოჰ, რა ტკბილი და გემრიელი ძილი იყო მას შემდეგ, რაც გამოვიარე უკანასკნელ ექვსი დღის განმავლობაში.

არ ვიცი მომეზმანა, თუ ნამდვილად იყო, მხოლოდ მეჩენა, რომ დიდდა ჩემი, ტახტს მოუახლოვდა, დაიკუნა თავი, თმა გამისწორა და დიდხანს ჩუმად მიყურებდა და ამბობდა:

„საწყალი ბიჭიკო, ღამაზი ბიჭიკო“.

გამომეღვიძა თუ არა სადილს შევექეცით. როცა სუფრა აალაგეს დიდდამ ჟანეტა გაგზავნა ბ-ნ დიკის დასაძახებლათ. დიდდამ მოიპატიჟა ჩემი თავგადასავალის მოსასმენათ. დაწვრილებით მაამბობინა და თანაც დაწვრილებით გამომკითხავდა ყველაფერს

— ეხლა, ბ-ნო დიკ, უთხრა დიდდამ, როცა გავათავე ჩემი თავგადასავალი, — მითხარით ერთი, რას უზავდით დავითის ვაჟს?

— დავითის ვაჟს? გაიმეორა ბ-ნმა დიკმა, რას ვუზავდი? — დავაძინებდი.

— ჟანეტა! დაიყვირა დიდდამ — ბ-ნ დიკმა დაგვიხსნა გაჭირებიდან, თუ ლოგინი დაგებულია წაიყვანე ბავშვი ზევით და დააძინე. დიდის ამბით ზევით ამიყვანეს და ჩამკეტეს. დიდდა უნდოთ მექცეოდა, ეშინოდა რომ არ გაგქცეულიყავი.

ოთახი, რომელშიაც დამტოვეს, პირველ შეხედვით, ძალიან მომეწონა, ფანჯარა ზღვის პირს ჰქონდა. მთვარე ზღვის ტალღებში ათამაშებდა თავის ვერცხლის ფერ სხივებს.

სანთელი რომელიც დამიტოვეს ხუთს წუთსა იწოდა და როცა ჩაქრა, ვილოცე, ფანჯარას მივუჯექი და სასიამოვნოდ დამით ვსტკებოდი. როცა სუფთა ლოგინში ჩავწექი მომაგონდა, ცის ქვეშ როგორ ვატარებდი ღამეებს, და მხურვალედ ვვედრებოდი ღმერთს, რომ ეს ბინა სამუდამოთ გამეჩინა.

ელ. კარბელაშვილი.



მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

# „სახალხო გაზეთი“

ეუკელდღიური საზოგადოებრივ და სკანდალურ კაზეთი  
შობავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარ-  
სულს წელს გამოდიოდა.

ეუკელ დღიურ გამოცემის კარდა კაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე  
ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან.  
80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

დაეკე ნომერი ეუკელან ერთი შუკო. დამატებიანი ნომერი (კვი-  
რისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლეელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წე-აკით-  
ხის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакция „Сахалхо газети“.

### ПОДПИСКА НА 1912 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную еже-  
дневную газету

# „Закавказье“

(Годъ VI-й).

### ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:		Съ пересылкой въ другіе города:
На годъ . . . . 6 р. — к.		На годъ . . . . 8 р. — к.
На полгода . . . 3 р. 50 к.		На полгода . . . 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній—1 руб., съ ино-  
городняго на городской—50 коп.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ цен-  
тральной конторѣ торговаго дома. Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мяс-  
ницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ: въ С.-Петербургѣ, Большая Мор-  
ская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ тек-  
стомъ и 12 к. послѣ текста.

Редакция и контора помѣщается въ Тифлисъ, на Дворцовой ул.,  
въ домъ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели. Издатель Д. П. Мадчаваріаш.

# ჯ ე ჯ ი ლ ი



საქმეწვეილო ნახატებიანი ჟურნალი.

## რცლა მესაჲე წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, ზატარებისათვის და მოხრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება

4 მან., ქალაქ გარეთ (კავსაგნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.,

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძეს.

ბაქოში—ქალ. მართა კვიციანიძეს.

მინაილოვში—ვლად. ჩიქოვანს.

გორში—კნ. თამარა თარხნიშვილს.

სამტრედიისში—რაჟდენ ნანეიშვილს.

თელავში—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს.

სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკო წუწუნავას.

ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1912 годъ

НА ГАЗЕТУ

## „Закавказская Рѣчь“

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинціи.
На годъ . . . . .	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода . . . . .	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца . . . . .	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяць . . . . .	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, реакція газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ кн. Г. М. Палавандовъ.

Издатель Э. З. Горделадзе